

ივ. ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დარეჯან თედორაძე

საერთაშორისო იმიგრაცია თბილისში, მისი სოციალურ-
პოლიტიკური და გეოგრაფიული ასპექტები

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2018 წ.

ანოტაცია

მიგრაცია დინამიური პროცესია, რომლის ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემწეობი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია დაძლიოს სიღარიბე ქვეყანაში და ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს შეუწყოს ხელი, გამოცდილება, უნარები, ინოვაციები უზიძგებს ქვეყანას ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს და სახელი დაიმკვიდროს, როგორც წამყვანმა სახელმწიფომ მსოფლიოში. შრომითი იმიგრანტების სიღრმისეული ჩართულობა, ინვესტირება მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ დონეს, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საერთაშორისო შრომით იმიგრაციამ საქართველოში, კერძოდ კი თბილისში გამოკვეთა მისი სოციალური, პოლიტიკური და გეოგრაფიული ასპექტების, როგორც დადებითი ისე უარყოფითი თავისებურები. საკითხის *აქტუალობას* განაპირობებს ორი არსებითი გარემოება: საქართველოში იმიგრაციული პროცესები მიუთითებს ქვეყნის სტაბილურობასა და მზარდ განვითარებაზე, რაც ინვესტირებისათვის მნიშვნელოვანია და მეორე, ეკონომიკური სიძლიერე, რაც იმიგრაციის მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება. ნაშრომის *მიზანია*, წარმოაჩინოს საერთაშორისო შრომითი იმიგრაციის სოციალურ, პოლიტიკური და გეოგრაფიული ასპექტები, რაც წამოჭრის შემდეგი სახის *ამოცანებს*: როგორია, სახელმწიფოს ჩართულობა შრომითი მიგრანტების მიმართ, საკანონმდებლო თავისებურები და მოსახლეობის დამოკიდებულება. საკითხის *საკვლევ საკითხს* წარმოადგენს შრომითი მიგრანტების ეთნიკურობა, მათი ჩართულობა შრომით ბაზარზე, ძირითადი ტენდენციები და სამომავლო გეგმები, ხოლო *კვლევის ობიექტს* წარმოადგენს ბიზნეს ოპერატორები, რომლებიც ბიზნეს საქმიანობას: ბარების, რესტორნების, სალონების, ტურისტული კომპანიების, მაღაზიების, საწყობების კუთხით ეწევიან. ამ საკითხის შესწავლის შედეგად, ნაშრომი ძირითადად იმ მიგნებების მტკიცება იქნება, თუ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო შრომითი იმიგრანტების ჩართულობა და სახელმწიფოს დამოკიდებულება მათ მიმართ.

Darejan Tedoradze

Labor immigration to Tbilisi and its Socio-Political and Geographical aspects

A n n o t a t i o n

Migration is a dynamic process, which has a great impact on the development and development of the environment. International labor migration is one of the most important contributing factors to overcome poverty in the country and to strengthen the economy of the country, experience, skills and innovations push the country to the modern trends and establish the name as the leading state in the world. In-depth engagement of labor immigrants, investments significantly increases the level of economy of the country, which directly reflects the welfare of the population. International Labor Immigration in Georgia, in particular, has outlined its social, political and geographic aspects as positive and negative aspects. The importance of the issue is due to the two essential circumstances: integration of immigrants, immigration processes in Georgia indicate its stability and growth, which is considered a significant challenge for immigration. The goal of the work is to demonstrate social, political and geographic aspects of international labor immigration that raise the following tasks: How the state involvement in labor migrants, legislative features and attitude of the population. The question of the issue is the ethnically eminence of migrant workers, their involvement in the labor market, the main trends and future plans, and the barriers, restaurants, salons, shops, tourist's company and warehouses. As a result of studying this issue, the work is mainly evidence of the impact of international labor emigrants on of the country and governments attitude these persons.

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	3
შესავალი	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
1.1 საერთაშორისო შრომითი მიგრაცია	8
1.2. თანამედროვე განვითარების თავისებურებები.....	20
მეთოდოლოგია.....	25
შერჩევა:.....	26
თავი I.....	26
2.1. ლეგალური ასპექტები	26
თავი II	31
დინამიკა	31
სამეწარმეო სუბიექტები	37
თავი III	39
3.1. საკანონმდებლო თავისებურებები	39
3.2. საერთაშორისო მიგრაციის მარეგულირებელი სხვა კანონები:	40
თავი IV.....	43
4.1. ემიგრაციის თავისებურებები.....	43
4.2. შრომითი მიგრანტები.....	47
4.3. იმიგრაციის გავლენა	50
4.4. უცხოელთა ინტეგრაცია	54
თავი V.....	57

5.1. კვლევის შედეგები	57
ემპირიული ნაწილი 1 : რატომ საქართველო?.....	57
ემპირიული ნაწილი 2: საქართველოში მუშაობის თავისებურებები.....	58
ემპირიული ნაწილი 3. საქართველოში ცხოვრების სოციალური და პოლიტიკური თავისებურებები.	59
5.2. დისკუსია: თეორიის და ემპირიული მონაცემების კავშირი.....	61
დასკვნა	63
ბიბლიოგრაფია	65

შესავალი

რავენშტაინის კანონის თანახმად, მიგრაციის ძირითადი მიზეზი უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებია “ხალხი სხვადასხვა მიზეზის გამო გადაადგილდება. ეს განსხვავებები იწვევს საერთო მიგრაციულ პროცესს. პროცესები, რომელიც მიგრანტს შემოაქვს მოსახლეობაში, შეიძლება ჰქონდეს ფართო გავლენა ყველა მონაწილე მხარისთვის. მიგრაცია წარმოშობს სოციოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულ შედეგებს. ინგლისელი მეცნიერის, რობინშტეინის ნაშრომში განხილული „მიგრაციული კანონების“ (1889) განვითარება. მან დასკვნა, რომ მიგრაცია რეგულირდება „ბიძგიანი „ პროცესით; ეს არის არახელსაყრელი პირობები (რეპრესირებული კანონები, მძიმე გადასახადები და სხვა). გულისხმობს „ხალხის“ და „გარედან“ ხელსაყრელი პირობების გამოძახებას. (Migration, 2018) ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ საერთაშორისო შრომითი იმიგრანტების სოციალურ - პოლიტიკური და გეოგრაფიული ასპექტები, რა განაპირობებს მათ მიგრირებას თბილისში.

სხვადასხვა მეცნიერული განსაზღვრებების შეჯამებით, შრომითი მიგრაცია არის გარკვეული დროით საზღვარგარეთ დასაქმება, შემოსავლის მიღების მიზნით. იგი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავდაღწევის მოქნილი სოციალური სტაბილიზატორია, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაა, მოსახლეობის საშუალო კლასისა და საბაზრო ურთიერთობის ფაქტორი, საერთაშორისო ეკონომიკური გამოცდილების, პროფესიული ცოდნისა და კულტურის გაზიარების საშუალებაა. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, შრომით რესურსებზე: ასაკზე, სქესზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებაზე და სხვა. (კალანაძე, 2010)

ევრეთ ლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიგრაციის პროცესებზე გავლენას ახდენს დაბრკოლებები. ის ამტკიცებდა, რომ ცვალებადია, მანძილი, ფიზიკური და პოლიტიკური ბარიერები და ამ ბარიერებზე დამოკიდებულმა პირებმა შეიძლება ხელი შეუშალონ და არ დაუშვან მიგრაციის თავიდან აცილება. ლი მიუთითებს, რომ მიგრაციის პროცესი შერჩევითია, რადგან ასაკობრივი, გენდერისა და სოციალური კლასის დიფერენციალური დამოკიდებულება გავლენას ახდენს მიგრაციულ პროცესებზე. (Migration, 2018)

ნაშრომში ასევე განვიხილავთ, საერთაშორისო შრომითი მიგრაციულ ფაქტორებს, უცხოელთა ინტეგრაციას, საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობას იმიგრაციული პროცესების მართვის კუთხით, საკანონმდებლო თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს.

რაც შეეხება საქართველოს, აქ რა ვითარება გვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული საერთაშორისო მიგრაციული პროცესების გაანალიზების თვალსაზრისით და რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში.

მიგრაცია სულ უფრო მნიშვნელოვან ასპექტს ქმნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ მსოფლმხედველობაში. მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის ერთ-ერთი წინაპირობაა, იგი ასევე წარმოადგენს ევროკავშირის დაახლოების აუცილებელ ინსტრუმენტს და ხელს უწყობს მიგრაციის მართვას. შესაბამისად, კარგად დაგეგმილი პოლიტიკის განვითარებას და მიგრაციის პროცესების მართვის გაუმჯობესებას .

საქართველოში შემუშავებული მიგრაციის სტრატეგია 2016-2020 წლის, არის მესამე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის განსაზღვრული საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია. (Issues) განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მექანიზმების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების დაბრუნებასა და რეინტეგრაციას, უფლებების დაცვას საქართველოში და თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაციას, უცხოელი მეწარმეების ხელშეწყობას, რაც სამომავლო პერსპექტივაში უფრო ადეკვატურ ხასიათს მიიღებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე თემის მთავარი საკვლევია კითხვებია:

- რატომ წყვეტენ მიგრანტები საქართველოში ჩამოსვლას? რა მიზეზები უადვილებთ აქ ჩამოსვლას? და რა უშლის ხელს?
- რა უადვილებს მიგრანტებს საქართველოში მუშაობას? რა სფეროში არიან დასაქმებულნი? სამომავლო პერსპექტივები რას გეგმავენ სამომავლოდ?
- შემდეგ ნაწილში, უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ შესავალში წამოჭრილ იმ თემებთან დაკავშირებით, რომელზეც აგებულია ნაშრომი.

ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 საერთაშორისო შრომითი მიგრაცია

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, დაახლოებით 192 მილიონი ადამიანი ცხოვრობს მათი დაბადების ადგილის გარეთ. ამ ადამიანების უმრავლესობა მიგრანტი მუშაკები არიან და ისინი მსოფლიო მოსახლეობის 3 პროცენტს ქმნიან. ადამიანები ყოველთვის ერთი ადგილიდან მეორეში გადადიან უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის, რომელიც ხალხს საკუთარი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადაადგილების საშუალებას აძლევს. (<http>)

საერთაშორისო მიგრაცია არის კომპლექსური ფენომენი, რომელიც ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების ასპექტებს, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან ურთიერთობაში. მიგრაცია არის ტერმინი, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრს მოძრაობებს და სიტუაციებს ცხოვრების ყველა საფეხურზე და ფონზე. მიგრაცია ეხება ყველა სახელმწიფოსა და ხალხს გლობალიზაციის გაღრმავების ეპოქაში. მიგრაცია ხორციელდება გეოპოლიტიკის, ვაჭრობის და კულტურული შესაძლებლობების, ბიზნესის სასარგებლოდ. მიგრაციამ ხელი შეუწყო ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას ქვეყანაში და საშუალება მისცა მილიონობით ადამიანს გაეტარებინათ საზღვარგარეთ ცხოვრება. (Migration, 2018)

საერთაშორისო მიგრაციის კლასიფიკაციაზე ცხარე კამათია, გამოყოფენ მის შემდეგ სახეებსა და ფორმებს: მუდმივი, ხანგრძლივადიანი, დროებითი, ტრანზიტული, იძულებითი, სეზონური, ქანქარისებური, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, შრომითი, სასწავლო, რეკრეაციული, სამკურნალო, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სამივლინებო მიგრაციები. (კალანაძე, 2010)

შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობა და გარეგნულად ხშირად უარყოფითი ფონის მიუხედავად, უფრო მეტი დადებითი მომენტის შემცველია, ვიდრე უარყოფითისა. გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო შრომით მიგრაციაზე დიდია. ეს მრავალფეროვანი გავლენა შეიძლება გამომდინარეობდეს არა მარტო ვაჭრობის

ინტერნაციონალიზაციიდან, ფულადი ნაკადების მოძრაობიდან და ვაჭრობის ხასიათიდან, არამედ ბევრი სხვა ფაქტორებიდან, როგორცაა მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და აგრეთვე განსხვავდებოდეს კონკრეტულ შრომით მიგრანტთა ჯგუფიდან გამომდინარეც. (კალანაძე, 2010)

მსოფლიოში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ეკონომიკური, კერძოდ შრომითი მიგრაციები. დღესდღეობით მსოფლიოში 40 მილიონზე მეტი შრომითი მიგრანტია. მათი უმეტესობა განვითარებადი ქვეყნებიდან არიან წასული აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შრომის ანაზღაურება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მიგრანტების „მშობლიურ ქვეყანაში“, შრომითი მიგრანტების მასობრივი მიზიდვის კიდევ ერთი რეგიონია ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი ქვეყნები. (კალანაძე, 2010)

მაღალი ანაზღაურება, დასაქმების მეტი შესაძლებლობები, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, კარგი სოციალური დაცვა და განათლება, უსაფრთხო გარემო არის მიმზიდველი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მიგრანტთა მოდინებას იმიგრაციის ქვეყნებში, საპირისპიროდ, ემიგრაციის ქვეყნებში აღინიშნება დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სიღარიბე და შიმშილობა, უპერსპექტივო საზოგადოებრივი მდგომარეობა, მოუწყობელი და სიცოცხლისთვის სახიფათო გარემო და ა.შ.

სამუშაო ძალის ექსპორტს და იმპორტს ორმაგი მნიშვნელობა აქვს. შრომითი მიგრანტების უმრავლესობა მეურნეობის ისეთ სფეროში კავდებიან როგორცაა: მშენებლობა, წარმოება, სასტუმროს ბიზნესი. მიმღები ქვეყანა გარკვეულწილად მოგებას ნახულობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვით ზოგავს ფულად დანახარჯებს.

შრომითი მიგრანტების უდიდესი ნაწილი სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს ფულს უგზავნის. განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობაში მსგავსი გზავნილები პირდაპირ უცხოური ვალუტის შემოდინების ერთადერთი წყაროა.

ღარიბი ქვეყნებიდან შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მიგრანტთა გასვლას სხვა ქვეყნებში, დაბალ პრესტიჟული სამუშაოს საძიებლად. ამ მოვლენის საპირისპიროდ,

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მასობრივი ხასიათი მიიღო მაღალი კვალიფიკაციის მუშახელის პროფესიონალიზმის ამაღლება (მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების) მიგრაციამ ჯერ აშშ-ში, ხოლო მოგვიანებით დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც. (მელაძე)

ხშირად შრომითი მიგრაცია ახსნილია, როგორც რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების ხარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიხილება ტერმინი შრომითი „მიგრანტი“ აღნიშნავს პირს, რომელიც იმუშავებს, მუშაობს და მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქედაც ის არ ითვლება.

შრომით მიგრაციას განასხვავებენ ეკონომიკური მიგრაციისგან და ამ განსხვავებაში თავს იჩენს სიტყვა „ დროებითი“, რადგან ეკონომიკური მიგრაცია შეიძლება მუდმივიც იყოს, რაც დაკავშირებულია იმიგრანტ ინვესტორებთან და ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნასთან. ეკონომიკური მიგრანტები ნაკლები პრობლემების მომტანი არიან სოციალური უსაფრთხოების სისტემისთვის, ვიდრე არაეკონომიკური მიგრანტები, რომელთაც შრომის ბაზარზე ინტეგრაციაც უჭირთ და რომელთა ეკონომიკურ აქტივობის მახასიათებლებიც დაბალია.

შრომითი მიგრაცია კიდევ უფრო გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამის მიზეზი, ერთი მხრივ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ეკონომიკური პროცესები, ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია, უცხოელთა პოლიტიკური, შრომითი სოციალური უფლებების თანდათანობით განმტკიცებაა, მეორე მხრივ, კი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის მიმოსვლის გაადვილება, ტრანსპორტის გაიაფება, მოსახლეობის ინფორმირების ზრდა იყო.

მიუხედავად ფიზიკური, კულტურული თუ ეკონომიკური დაბრკოლებებისა, მილიონობით ადამიანი მიგრირებს თავისი და შვილების ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად. ზოგადად მიგრაციას დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებასა და გარდაქმნაში. დიდია შრომითი მიგრაციის როლი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარებაშიც მიუხედავად ამ ქვეყნების პროტესტისა

(იმიგრაციისას ადამიანების მიერ სახელმწიფოთა კანონმდებლობით, მაგრამ თავის მიერვე დაწესებული საზღვრების წესის მიუხედავად იმიგრაცია დიდ მოწონებას ამ სახელმწიფოში მაინც არ იმსახურებს). ამჟამად მიმოსვლის ნაკადების გათვალისწინებით, ქვეყნები იმავდროულად სამუშაო ძალის მიმწოდებლებად, ტრანზიტულ და დანიშნულების ქვეყნებად გვევლინებიან. ორმოცდაათი წლის წინ კი მხოლოდ რამდენიმე ინდუსტრიული ქვეყანა (ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ავსტრალია), რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წამოიწყო იმიგრაციის ოფიციალური პროგრამები, იწოდებოდა ე.წ. „დანიშნულების ქვეყნებად“, ხოლო ე.წ. „სამუშაო ძალის მიმწოდებელი ქვეყნები“ ძირითადად ევროპაზე მოდიოდა.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია წარმოადგენს არა ეკონომიკური ჩამორჩენილობის, არამედ სწორედ საბაზრო ეკონომიკის განვითარებულობის შედეგია. ფაქტობრივად, არცერთ ქვეყანაში მომხდარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების გარეშე იმ სფეროდან, რომელიც ადრე მათ ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. საერთაშორისო მიგრაციაში ყოველთვის ღარიბი ქვეყნის მოსახლეობა არ მონაწილეობს. შიგა მიგრაციისგან განსხვავებით, საერთაშორისო გადაადგილებით სტიმულირდება გეგმიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობა, რადგან რაღაც ხარისხით, მათ უკვე აქვთ ურბანიზაციის გამოცდილება.

საერთაშორისო მიგრაცია საერთაშორისო საზღვრების გადამკვეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციების პროცესების შედეგია. ტრანსფორმაციის პერიოდში მოსახლეობა „უნებურად“ არ გადაადგილდება იქით „საითაც მოხვდება“ ან რომელიმე ახლო მდებარე მდიდარ ქვეყანაში, არამედ მიემგზავრებიან იქ, სადაც არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კავშირები. ეკონომიკური კავშირები გამოიხატება ვაჭრობასა და ინვესტიციების სფეროში, პოლიტიკური-სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში, ყოფილ კოლონიურ ურთიერთობებსა და სამხედრო თანამშრომლობაში; სოციალური კი-ნებისმიერ ინსტიტუციონალურ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მყარ, რეგულარულ კონტაქტებს ხალხთა შორის, მაგალითად,

სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, დიპლომატიური მისიები, ტურიზმი, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა და სხვა.

შრომითი ემიგრანტები განვითარებულ ქვეყანაში მიემგზავრებიან იქაურ შრომით ბაზარზე ძლიერი და მყარი მოთხოვნის შესაბამისად, რაც წარმოიშობა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში, სადაც შრომის ბაზარი სეგმენტირებულია პირველად და მეორად სექტორებად. ასე რომ, მათზე მოთხოვნა რომ არ იყოს, არავინ წავიდოდა ემიგრაციაში, მითუმეტეს, არალეგალური გზით;

მიგრანტები როგორც წესი, საზღვარგარეთ მიემგზავრებიან შემოსავლის მიღების მიზნით და არა სამუდამოდ დარჩენის განზრახვით. გამომუშავებული თანხით ეხმარებიან სამშობლოში არსებული ეკონომიკური კრიზისის დამლევას და ცდილობენ, საკუთარი დანაზოგით დააფინანსონ ოჯახები, ადგილობრივი წარმოება და დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნები;

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ზოგჯერ შრომის ბაზრის პირობების გავლენას უფრო ნაკლებად ექვემდებარება, ვიდრე სხვა ბაზრების მოთხოვნებს. ამჟამინდელი იმიგრაციული პოლიტიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ მიგრანტები გადაადგილდებიან მაქსიმალური შემოსავლის მიღების მიზნით, ამიტომ პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ გავლენა მოახდინოს შრომის ბაზრის პირობებზე, მაგრამ ცხადია, რომ მიგრანტები, მოსალოდნელზე დაბალი ხელფასების შემთხვევაშიც, არ კარგავენ სტიმულს, ვინაიდან მიგრირების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ოპტიმისტური საერთაშორისო პროგრამები;

როგორც არ უნდა იყოს მიგრანტთა პირველადი განზრახვა, შექმნილი მიგრაციული გამოცდილების მერე მათი მოტივაცია იცვლება. მიგრირების ხანგრძლივობის კვალდაკვალ იზრდება სამუდამოდ გადასახლების ალბათობაც. მაღლდება მოთხოვნილებათა კულტურა, ჩნდება ახალი გემოვნებები და მიზნები. ამასთან მიგრანტები თანდათანობით აღრმავებენ მიმღებ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. (საქართველოში, 2006)

მსოფლიო მიგრაციის ვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა სოციალისტური სისტემის დაშლამ. ასევე ჩინეთის საზღვრების გახსნამ. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში განვითარებულმა საყოველთაო კრიზისმა, ცხოვრების დონის მკვეთრად გაუარესებამ, პოლიტიკური ვითარების დამძიმებამ მიგრაციის ახალი ტალღები წარმოშვა. რაც შეეხება საქართველოს, აქაც ეკონომიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ და შიდა და გარე ბაზარზე შექმნილმა სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის გაუწონასწორებელმა მდგომარეობამ განაპირობა ქვეყნისთვის არნახული შრომითი მიგრაციის პროცესი. (კალანაძე, 2010)

მიგრანტების ფულადი გზავნილები და დიასპორის დღევანდელი და პოტენციური როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; ეს ის ფაქტორია, რომელიც ორივე მიგრაციის დარგს აყალიბებს და აძლიერებს. მიგრანტების ფულადი გზავნილები ითვალისწინებს იმიგრაციის ქვეყნებში მიგრანტების შემოსავლის ყველა გადარიცხვა (გადახდა, კეთილდღეობის სარგებელი, შემოსავლის ან სხვა საინვესტიციო გადარიცხვების კაპიტალი და ა.შ). მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ გარკვეული ემიგრაციის ქვეყნებში გადასახადების ბალანსიდან, 75%-მდე, ხოლო ექსპორტის საერთო ღირებულების 216%. მაგრამ ასეთი ტრანსფერები ოფიციალურ სტატისტიკებში უფრო ხშირად არ შედიან, ან ზოგიერთ ქვეყანაში, თუმცა მნიშვნელოვანია, მხოლოდ მცირე თანხის შეტანა გადასახადების ბალანსში. მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკაში ასეთი ტრანსფერების ზრდისა, მათ 2002 წელს 149.4 მილიარდი აშშ დოლარი (1988 წელს 50 მილიარდიდან), რაც გადააჭარბებს საჯარო განვითარების დახმარებას-მიგრაციის, ფულადი გზავნილებისა და ეკონომიკური განვითარების OECD კონფერენციის ქვეყნები (2005 წ) აჩვენებს, თუ რამდენად სახიფათოა ფულადი გზავნილების საკითხი. საკითხი არის მორიგი, რომელიც რეგულარულად მოდის. ხელმისაწვდომი კვლევები (კარგი და ცუდი პრაქტიკა) მრავალრიცხოვანი და ხშირად მაღალი ხარისხისაა. წარმოშობის ქვეყნებმა ხელი უნდა მოაწერონ ფულადი გზავნილების გააქტიურებას პროაქტიული საკანონმდებლო და მარეგულირებელ პოლიტიკოსებთან. წარმოშობის ქვეყნებმა, მაგალითად, უნდა მიაწიონ თავიანთ მიგრანტებს კონკრეტული უფლებები, დაცვა და აღიარება, რათა მათი ფულადი

გზავნილების პროცესში ჩართონ. წარმოშობის ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ დანიშნულების ქვეყნებთან მიგრანტების ფულადი გზავნილების და მათი გავლენის მხარდასაჭერად აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა კერძოდ:

ა) არ უნდა მოხდეს მიგრანტების დაბეგვრა.

ბ) სათანადო/ სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც საშუალებას აძლევს ეფექტურად გამოიყენონ სხვადასხვა საინვესტიციო სფეროში ფულადი გზავნილები.

მიგრაციის განვითარება მეტი არაფერია თუ არა მიგრაციის ეკონომიკური თუ სოციალური ანგარიშის გადაქცევის იდეა: წარმოშობის საზოგადოებისთვის მიზნად სახავს კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ცოდნის მოზიდვას ეკონომიკისა და დემოგრაფიული ზეწოლის შემცირებისას მიზანი შეიძლება იყოს განვითარების უფსკრულის შემცირება საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანი პარტნიორია-ბიზნესისა და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას და ცხოვრების დონის ამაღლებას, რაც თავის მხრივ, გაზრდის საყოფაცხოვრებო ხარჯებს ფირმების მიერ, როგორც წარმოშობის ქვეყნებში, ასევე იმიგრაციის ქვეყნებში ახალი ბაზრები გამოიყენონ. მიგრანტების ფულადი გზავნილები და დიასპორების დღევანდელი და პოტენციური როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის თანამშრომლობა უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი ევროპის საბჭოს მიგრაციის მართვის სტრატეგიის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და სამხრეთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ მიგრაციის მოძრაობაში ჩართული. ყველა მხარემ უნდა ითანამშრომლოს ღია, კონსტრუქციულ დიალოგში, რომელიც მიზნად ისახავს ნდობის მშენებლობას, ექსპერტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ინფორმაციის გაცვლას, საერთო შეშფოთების იდენტიფიცირების სფეროებს, საჭიროების შემთხვევაში, განსხვავებული ჰარმონიზაციის ინტერესებს. დაინტერესებულმა ქვეყნებმა უნდა გააკეთონ წინადადებები, მიიღონ საერთო ზომები და ხელი შეუწყონ ერთობლივ ქმედებას, რათა მოგვარდეს ის პრობლემები, რომლებმაც გამოავლინეს და დააკმაყოფილონ ეს გამოწვევები კოორდინირებულად. (htt

მაღალშემოსავლიანი ქვეყნები თითქმის ყოველთვის ფულადი გზავნილების ძირითადი წყაროა. ათასწლეულების მანძილზე შეერთებულმა შტატებმა შეასრულა

ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი. 2015 წელს 61.38 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საუდის არაბეთი (38.79 მილიარდი აშშ დოლარი) და შვეიცარია (24.38 მილიარდი აშშ დოლარი). ჩინეთი, რომელიც მსოფლიო ბანკის ზედა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნად არის კლასიფიცირებული, ასევე ძირითადი წყაროა, როგორც ყველაზე მეტი მიმღები), 2015 წელს 20.42 მილიარდი აშშ დოლარის იდენტობით. 2015 წლისთვის მეხუთე ყველაზე მაღალი გადარიცხვის ქვეყანა იყო რუსეთის ფედერაცია (19.7 მილიარდი აშშ დოლარი). (Migration, 2018)

საერთაშორისო შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მიმღები და დონორი ქვეყნების, ასევე, სახელმწიფოთაშორისო და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. რეგულირების ღონისძიებები ხორციელდება იმ პროგრამების ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც მიმართულია იმიგრაციის შეზღუდვაზე თუნდაც სამშობლოში მათი დაბრუნების სტიმულირების გზით. ბევრი მიმღები ქვეყანა სელექციურად უდგება ემიგრაციის რეგულირებას და უპირატესობას ანიჭებს განსაზღვრული კვალიფიკაციის, განათლების, ასაკის, ჯანმრთელობის მქონე კონტიგენტს. რეემიგრაციის სტიმულირება ხორციელდება წამსვლელი იმიგრანტების მატერიალური კონპენსაციით, იმიგრანტთა პროფესიული მომზადებით, დონორ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნით, მსოფლიო ჰუმანური განვითარების პროექტებით, საინვესტიციო პროგრამებითა და ეკონომიკური დახმარებების აღმოჩენით. მიმღები ქვეყანა ვალდებულია, გაწიოს ხარჯები უცხო შრომითი რესურსების დაბალანსებისთვისა და მათი უფლებების დაცვისათვის, რათა იმიგრანტებმა მიაღწიონ სასურველ ეკონომიკურ კეთილდღეობას და პოლიტიკურ თავისუფლებას. იგი უნდა დაეხმაროს როგორც მიგრანტებს, ისე მათ შვილებს მოქალაქეობის მიღებაში და, საერთოდ, მათი მომავლის გარკვევაში.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ინტეგრაციული პროცესების განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს. საბოლოო ჯამში, მზარდმა საერთაშორისო კომუნიკაციამ შეიძლება საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას შეუწყოს ხელი. ცნობილია, რომ მიგრანტთა შრომითი დასაქმებით მიღებული შემოსავლები თავიანთი სიდიდით ნავთობისა და ნარკოტიკების შემდგომ მესამე ადგილზეა. არალეგალური ფირმების

საქმიანობის შედეგად, ხშირად, ეს ყველაფერი ფარულად. „ ჩრდილოვანი ეკონომიკის“ სფეროში ექცევა. შრომითი მიგრაცია მსოფლიოში წამყვან ბიზნესად იქცა. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საერთაშორისო მიგრანტებს, ჩვეულებრივ, გამგზავრების წინ თვითონ ქვეყანაში შემოსავლების მიღების საშუალო (ან მასთან მიახლოებული) პოტენციალი აქვთ. ისინი არ განეკუთნებიან უღარიბეს ფენებს. ღარიბ ქვეყანაში უმცირესი შემოსავლების მქონე ჯგუფებს არ გააჩნიათ პერსპექტივა, ფინანსური სახსრები და ინფორმაცია, რომ ფართო მასშტაბიან საერთაშორისო შრომით მიგრაციაში ჩაებან. საერთაშორისო ემიგრანტები უმთავრესად საშუალო ფენიდან გამოსული, ზოგჯერ თვით ავანტიურული ხასიათის ადამიანები არიან. გასვლამდე პოტენციური ემიგრანტების შემოსავალი დონორი ქვეყნის საერთო შემოსავლის ნაწილია, მაგრამ მათი გამგზავრება აქ უმუშევრობის დონეს შეამცირებს, შეიქმნება მუშახელის დასაქმებისა და ხელფასების გადიდების შესაძლებლობები. ასე რომ გამშვებ ქვეყანაში დარჩენილი სამუშაო ძალის საშუალო შემოსავალი გაიზრდება, რითაც ის კმაყოფილი დარჩება. თუმცა ქვეყნის საერთო შემოსავალი შემცირდება. იზარალებენ ასევე მეწარმეები, რომლებსაც მოუწევთ ახალი სამუშაო ძალის მომზადება- გადამზადება და ანაზღაურების გადიდებაც. საერთო შემოსავალი შეიძლება შემცირდეს, მაგრამ მასთან ერთად მცირდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, მრავალშვილიანი დედებისა და არასრულწლოვანი ბავშვების დახმარებაზე, სოციალურ დაზღვევაზე, დახმარებები სიღატაკის გამო, ეკოლოგიური დანახარჯები. სამწუხაროდ, ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე, მატულობს წმინდა საბიუჯეტო დანაკარგების წარმოშობის ალბათობა, ვინაიდან საზოგადოებრივი საქონელზე მოთხოვნის ზრდა და მიგრაცია ადამიანთა სასიცოცხლო ციკლის (25-45 წწ), რომელმაც უკვე მიიღო გარკვეული განათლება გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე და როცა თავისი შემოსავლებიდან უკვე მოწიფულ ასაკში თავად უნდა იხადოს გადასახადები, მაშინ ტოვებს საკუთარ ქვეყანას.(საქართველოში, 2006)

მთლიანად მსოფლიო, ეკონომიკური თვალსაზრისით მოგებული რჩება, რადგან მიგრაციის თავისუფლება ადამიანებს საშუალებას აძლევს, გადავიდნენ იმ ქვეყნებში, სადაც მეტ წვლილს შეიტანენ მსოფლიო წარმოებაში, როცა შრომის ბაზრები პოლიტიკურ-

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელისუფლების მიერ ვერ რეგულირდება, მოქმედებას იწყებს მასობრივი პროცესი-შრომითი მიგრაცია. (საქართველოში, 2006)

საერთაშორისო მიგრაციის შესწავლა მსოფლიოში დაფუძნებულია ოთხ ძირითად საინფორმაციო წყაროზე: სასაზღვრო სტატისტიკა, ადმინისტრაციული წყაროები: მოსახლეობის რეგისტრი, მოსახლეობის აღწერა, ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე: ნებართვა მიგრანტის დასაქმებაზე და შერჩევითი გამოკვლევა.

სასაზღვრო სტატისტიკა მოიცავს ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სასაზღვრო გამშვებ პუნქტში შესვლა-გასვლის ყველა ფაქტს. მაგრამ ის არ განასხვავებს შრომით მიგრანტებს, ტურისტებს, სტუდენტებსა თუ ა. შ. ამიტომ იგი შრომითი მიგრაციის შესასწავლად ნაკლებად მიზანშეწონილია.

უკეთეს შესაძლებლობას იძლევა ადმინისტრაციული წყაროები, რომლის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს მოსახლეობის რეგისტრი. მას გამოყოფენ ცალკე კატეგორიად, რადგან განსხვავებით მონაცემთა შეკრების სხვა სისტემებისაგან, იგი ახდენს ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უწყვეტ რეგისტრაციას, მოიცავს თითოეული ადამიანის სტატუსის ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციას. უცხოელთა რეგისტრი ფლობს ინფორმაციას საერთაშორისო მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, განათლებაზე, პროფესიაზე, დასაქმების შესაძლო ტიპზე, ქვეყანაში დარჩენის სავარაუდო ხანგრძლივობაზე, არსებობის აუცილებელ წყაროზე და ა.შ. რეგისტრში ყველა უცხოელის ჩართვა ვერ მოხერხდა სხვადასხვა ქვეყანაში დამატებითი პირობების მოთხოვნის გამო (კერძოდ, ქვეყანაში ყოფნის მინიმალური ხანგრძლივობის დადგენა ქვეყნის გადაწყვეტილების მიხედვით; გადაადგილების თავისუფალი რეჟიმი სხვადასხვა პირობებში აყენებს უცხოელებს).

შრომითი მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ადმინისტრაციული წყაროს ნაირსახეობაა საცხოვრებელ ადგილზე ნებართვების სტატისტიკა, იგი ასახავს უცხოელის ყოფნას ქვეყანაში და იძლევა მუდმივად გადმოსახლებას, შრომითი მიგრანტების, სტაჟორების, უცხოელი სტუდენტების, მარალკვალიფიციური სამუშაო ძალის

იდენტიფიცირების შესაძლებლობას ვიზის ტიპის მიხედვით, მაგრამ ვერ ეხება თავისი მოქალაქეობის გადაადგილებას.

მოსახლეობის აღწერა შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მიგრაციის შესახებ უფრო მრავლის მომცველი ინფორმაციული ბაზაა ქვეყნებს შორის შედარების გასაკეთებლად. მოსახლეობის აღწერის მთავარ დადებით მხარედ სხვა წყაროებისაგან განსხვავებით შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი მოიცავს უკანონო მიგრანტებსაც. გაერო და მასში შემოვალი სტრუქტურები (ILO, IOM, UNHCR) საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის დამუშავებაში ეყრდნობიან აღწერების მასალებს.

თუმცა მას მთელი რიგი შეზღუდვებიც აქვს: ა) დროის დიდი პერიოდი აღწერებს შორის ვერ იძლევა სწრაფი ცვლილებების დაფიქსირების საშუალებას; ბ) ანკეტაში მცირერიცხოვანი კითხვებით მიგრანტთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია; გ) აღწერების უმრავლესობას არალეგალურ მიგრანტთა უმეტესი ნაწილი კარგი შენიღბვით არიდებს თავს; დ) აღწერების მასალები ქვეყნდება აღწერიდან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, თანაც მიგრაციის საკითხებით დაინტერესებულთათვის სტატისტიკური ცხრილების შეზღუდული რაოდენობით.

ხშირად მოსახლეობის აღწერის ფარგლებში ტარდება შერჩევითი გამოკვლევაც, რომელიც გულისხმობს ანკეტის გაფართოებას თემატური ინფორმაციის მოპოვების მიზნით (საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციის, მისი სტრუქტურის, დეტერმინანტებისა და შედეგების შესახებ). იმ ქვეყნებთვის, სადაც იმიგრანტები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, შერჩევითი გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანია.

ზემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროები ვერ იძლევა დეტალურ სურათს უშუალოდ შრომითი მიგრაციის შესახებ, ვერაფერს ამბობს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის მნიშვნელობაზე, შრომით მიგრანტთა შედარებით ზუსტ რაოდენობასა და მიგრაციის ხანგრძლივობაზე. ამ მხრივ, უფრო მეტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ადმინისტრაციული წყაროს ერთ-ერთ სახეს სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემას. იგი მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ მიღებული და აპრობირებულია. აღრიცხვა წარმოებს როგორც მიმღებ, ისე წარმოშობის ქვეყანაში.

სტატისტიკის სისტემა აერთიანებს ქვემოთ ჩამოთვლილი საინფორმაცია წყაროების სიდიდეებს:

- ა) დასაქმების კერძო და სახელმწიფო სააგენტოების მიერ წარმოებულ მონაცემებს
- ბ) მოსარგებლე-მეწარმისგან ანგარიშს
- გ) შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ორგანიზაციებისგან მიღებულ ინფორმაციას (საელჩოები, საკონსულოები, საგარეო საქმეთა სამინისტროები, მიგრანტის სტატუსის შეცვლის სამთავრობო კამპანიები).

ქვეყნების უმრავლესობაში საზღვარგარეთ მიგრანტთა დასაქმებას არეგულირებს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან მსგავსი სტრუქტურის მიგრაციის სამსახური და მიგრაციის ტერიტორიული ორგანოები. შრომითი მიგრანტების შემოყვანა-გაყვანა და რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემის საფუძველზე. იგი საშუალებას იძლევა სახელმწიფომ აწარმოოს ქვეყნიდან გასული და შემოსული შრომითი მიგრანტების სრულფასოვანი აღრიცხვა, რადგან სამუშაოზე გაცემული ნებართვების რაოდენობა პირდაპირ თანაფარდობაშია შრომით მიგრანტთა რიცხოვნობასთან. სტატისტიკური ანგარიშის წარმოება მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. შრომითი მიგრანტის არაზუსტი იდენტიფიცირების გამო ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება რამდენჯერმე აისახოს საინფორმაციო ბაზაში. აშკარა შეცდომების ასაცილებლად აუცილებელია, ერთმანეთისგან განასხვავონ შრომითი მიგრანტები, ვინც:

- ა) პირველად იღებს საზღვარგარეთ შრომაზე ნებართვას
- ბ) ნებართვის ვადას ახანგრძლივებს
- გ) არსებული ნებართვის მოქმედების პერიოდში იცვლის დამქირავებელს და ანახლებს ნებართვას.
- დ) ინდივიდუალურად იღებს მასზე გათვლილ ნებართვას და არ არის ორგანიზებულად შეკრებილი შრომით მიგრანტთა ჯგუფის წევრი, ანუ კოლექტიური ნებართვის მფლობელი.
- ე) ერთდროულად მუშაობს დამქირავებელთან, რის გამოც ფლობს შესაბამისი რაოდენობის ნებართვას

ვ) ნამდვილად სხვა ქვეყნის მოქალაქეა (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბახრეინსა და საუდის არაბეთში ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში საკუთარი მოქალაქეც ვალდებულია აილოს ნებართვა).

ამ შენიშვნების გათვალისწინებით გაკეთებული ბაზა მაინც ვერ იძლევა ქვეყანაში შრომითი მიგრანტების იდენტიფიცირების საშუალებას და იმის მტკიცების საფუძველს, რომ მიგრანტთა რაოდენობა შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვების რიცხოვნობის ეკვივალენტურია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნების მოალაქეებზე არ ვცელდება ნებართვების სისტემა მის წევრ ქვეყნებში დასაქმებისთვის; ზოგიერთ ქვეყანაში ასევე არ ვრცელდება ყოფილი კოლონიების მოქალაქეებზეც; სტუდენტები, რომლებსაც დროის შეზღუდულ პერიოდში აქვთ მუშაობის უფლება, ვერ ექცევიან ნებართვების სისტემის ჩარჩოებში.

მიგრაციის საერთაშორისო სტატისტიკის სფეროში მომუშავე ცნობილი ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციას სტატისტიკური ცხრილების რეგულარულად გამოქვეყნების შესახებ. იმისთვის, რომ შეფასებული იქნეს საერთაშორისო მიგრაციული პროცესები. (საქართველოში, 2006)

1.2. თანამედროვე განვითარების თავისებურებები

იმიგრანტებისთვის ღირებული იქნება თუკი მათ ექნებათ წვდომა ინფორმაციაზე, რეგრესის უფლებაზე და უფრო ძლიერ სოციალურ ქსელზე. ეს უკანასკნელი შეამცირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ სიცარიელეს და დამსაქმებელი სააგენტოების არსებობის საჭიროებას, ასევე საშუალებას მისცემს ბიზნეს ოპერატორს დასაქმების ფართო შესაძლებლობიდან აირჩიოს თავისთვის ყველაზე შესაფერისი პერსონა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის რომ სახელმწიფომ მოახდინოს შრომითი

იმიგრანტებისთვის გარკვეული წესების დადგენა. კარგი შედეგები მოაქვს დასაქმებულის დამსაქმებელს შორის ურთიერთპასუხისმგებლობის არსებობას. მშრომელთა საზოგადოებას ესაჭიროება ისეთი სისტემა, რომელიც უსაფრთხოებაზე, თანასწორობაზე, ორგანიზაციულობასა და იმიგრაციის რეფორმისკენ იქნება მიმართული. იმიგრაციული სტატუსის გამო ადამიანების უფლებების ან პრივილეგიების იგნორირებას უთანასწორობამდე მივყავართ. სამწუხაროდ მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ სხვადასხვა ფორმით უპატივცემულობა არაა ახალი ფენომენი. მიგრაციის მართვის პროგრამებს, მათ შრომაზე ნებართვებისა და სამუშაო ვიზის გაცემის სისტემებს, შეუძლიათ ნაწილობრივ მოაგვარონ არალეგალური იმიგრანტების რიცხოვნობის ზრდასთან დაკავშირებული პრობლემები და ხელი შეუწყონ მუშახელის დროებით მიგრაციას. ასეთ პირობებში წინასწარ არის ჩადებული კვალიფიკაცია მიღებული შრომითი იმიგრანტების სამშობლოში დაბრუნების სტიმულირების მექანიზმებიც. ამას გარდა დროებითი მიგრაციის პროგრამებს იმიგრაციული ქვეყნებისთვის მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია: სოციალური ზეწოლის შესუსტება; მიგრანტთა მუდმივ საცხოვრებლად გადმოსვლაზე კონტროლის შესაძლებლობა; ასეთ მიგრანტთათვის გარანტირებული შრომითი მოწყობის გამო მცირდება მიმღები ქვეყნის ბიუჯეტზე ზეწოლა და იზრდება სახელმწიფო შემოსავლები. იმიგრაციის პოლიტიკამ უნდა გახადოს შესაძლებელი თავისუფალი გადაადგილება, მაგრამ გადაადგილების თავისუფლების დაკარგვა არ უნდა გახდეს დამსაქმებლების მიერ მშრომელთა შექენის საფასური.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მიგრანტს არ აქვს სამედიცინო მომსახურებაზე ერთიანი წვდომა. მუდმივი სტატუსის მქონე მიგრანტებს მეტი წვდომა აქვთ დროებითი სტატუსის მქონე მიგრანტებთან შედარებით. პრაქტიკაში მიგრანტების წინაშე ჯანდაცვის სისტემის წვდომაზე ბარიერები ძირითადად ფინანსური მდგომარეობის და სტატუსიდან გამომდინარე იმართება. იმ შემთხვევაში თუკი შრომითი მიგრანტების კვალიფიკაცია ავსებს ადგილობრივი მშრომელების კვალიფიკაციას, მაშინ ორივე მხარე მოგებული რჩება. კვალიფიკაციების დამთხვევისას კონკურენცია მძაფრდება და წაგებული რჩება ადგილობრივი მშრომელი. თუმცა ეს არაა აუცილებელი შედეგი, რომელიც შეიძლება

იქნეს მიღებული. შედეგები შერეულია და დამოკიდებულია გარკვეულ ჯგუფს მიკუთვნებულ ინდივიდებზეც. მიგრანტების უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის (Migrants Right International (MRI)) თვალსაზრისით, მიგრაციული პოლიტიკა დაფუძნებული უნდა იყოს მიგრანტების უფლებების დაცვაზე და არა მიგრანტების მოძრაობის მართვაზე დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინებით. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ ვაჭრობის და ინვესტიციების ლიბერალიზაციამ გამოიწვია ადამიანის უფლებების შელახვა, განსაკუთრებით განათლების და ჯამრთელობის კუთხით.

მიგრანტების გამგზავნა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ ტექნოლოგიური მოდერნიზაციის წახალისება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დაცვით და ინვესტიციების განხორციელებაზე შეზღუდვების მოხსნით.

შრომითი მიგრანტები უცხოელები არიან მასპინძელ ქვეყანაში. სუვერენულ სახელმწიფოში მოქალაქეობის ან ამ საზოგადოების ოფიციალური წევრობის არ ქონის გამო, სადაც ისინი იმყოფებიან, მიგრანტი ოჯახები ამ სახელმწიფოს დისკრეციული კაპრიზის რისკის ქვეშ არიან. სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ მოექცეს მათ.

შრომითი მიგრანტების პროგრამებს აქვთ პოტენციალი იმისა, რომ გააუმჯობესონ ყველაფერი რასთანაც შეხება ექნებათ. მსგავსმა პროგრამებმა შეიძლება გაზარდოს პროდუქტიულობა და დაწიოს სამომხმარებლო ფასები. გააუმჯობესონ კულტურული ურთიერთგაცვლა, გაზარდონ საერთო მოგება, თუკი მუშები შენარჩუნდებიან იმავე ადგილზე სადაც მუშაობენ და არ გადავლენ სხვა ასევე დაბალ ანაზღაურებად სამუშაოზე. გარდა ამისა შრომითი მიგრანტების პროგრამები ხელს უწყობს მდიდარ და ღარიბ ერთა დაახლოებას და ეხმარებიან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდას, ისინი აუმჯობესებენ ეკონომიკურად უიღბლო გარემოში მომუშავე შრომითი მიგრანტების ცხოვრების პირობებს. სანამ ასეთი პროგრამები საყოველთაოდ პოპულარული გახდება, მცირე მცდელობებმა მსგავს აქტივობებში დიდი მხარდაჭერა დაიმსახურა საერთაშორისო

საზოგადოების მხრიდან, თუმცა ისინი გაცილებით ნაკლებ სარგებელს გთავაზობენ, ვიდრე მთელი პოტენციალით მიგრანტთა „ ძალის „ გამოყენება. (კალანაძე, 2010)

2003 წლის დეკემბერში გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ხელშეწყობით საერთაშორისო მიგრაციის კომისია (Global Commission on International Migration –GCIM) შეიქმნა. კომისიის მანდატით განისაზღვრა საერთაშორისო მიგრაციის მიერ წამოჭრილი ამოცანების გადასაჭრელად ერთიანი, ყოვლისმომცველი და გლობალური პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ეს დამოუკიდებელი ორგანო შეიქმნა შვედეთის და შვეიცარიის მთავრობათა ინიციატივით, რომლებსაც შეუერთდნენ ბრაზილია, მაროკო და ფილიპინები; ინიციატივას მხარი დაუჭირა 32-მა ქვეყანამ. ინიციატივის მიზანს შეადგენდა რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო მიგრაციის მართვის გაძლიერების თვალსაზრისით.

2005 წლის ოქტომბერში წარდგენილ GCIM-ის ანგარიშში მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად აღწერილია შედარებით მრავალმხრივი მიდგომა მიგრაციასა და განვითარებას შორის, რაც სცილდება ტრადიციულ-ფულადი გზავნილების საკითხს. ანგარიშის ცალკე თავი „ მიგრაცია და განვითარება: ადამიანთა მობილურობის პოტენციალის გააზრება“ აღიარებს როლს, რომელსაც მიგრანტები თამაშობენ წარმოშობის ქვეყნებში განვითარების ხელშეწყობაში და სიღარიბის შემცირებაში.

ზემოთ აღნიშნულ ანგარიშში მოცემულია 33 რეკომენდაციიდან ოთხი პირდაპირ კავშირშია მიგრაციისა და განვითარების საკითხებთან:

1. ფულადი გზავნილები კერძო საკუთრებაა და სახელმწიფოებმა მათი აპროპრიაცია არ უნდა მოახდინონ. მთავრობებმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა გაადვილონ და გააიფონ გზავნილების გამოგზავნის პროცედურა და ამით დააინტერესონ მიგრანტები, გამოიყენონ გზავნილთა გადაგზავნის ოფიციალური არხები (რეკომენდაცია #8). გადაგზავნის ხარჯები უნდა შემცირდეს, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას, მაგალითად, გზავნილთა მომსახურე ოფიციალურ სისტემებს შორის კონკურენციის შექმნის ხელშეწყობის გზით;

2. წარმოშობის ქვეყნებში ფულად გზავნილთა გადაგზავნის და ინვესტირების მხარდაჭერისკენ მიმართული ზომები შერწყმულ უნდა იქნას ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების ხელშემწყობ მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან (რეკომენდაცია #9).
3. უნდა გატარდეს ზომები დიასპორების დასაინტერესებლად წარმოშობის ქვეყნებში განვითარების ხელშესაწყობად ინვესტირებაში და მათ მონაწილეობაში ცოდნის გაცვლის ტრანსნაციონალურ ქსელებში (რეკომენდაცია #10).
4. სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს განვითარების სტიმულირებას დაბრუნებულ მიგრანტთა და ცირკულარული მიგრაციის რესურსების საფუძველზე (რეკომენდაცია #11).

მიგრაციის გლობალური ჯგუფი (Global Migration Group – GMC) ასევე აქტუალურად მუშაობს მიგრაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტის და ნორმის ფართოდ გამოყენების დანერგვის და საერთაშორისო მიგრაციის საკითხისადმი უფრო ერთიან, ყოვლისმომცველ და უკეთ კოორდინირებულ მიდგომათა შემუშავების მხარდაჭერას. კერძოდ, GMC დაინტერესებულია საკუთარ წევრთა და დაინტერესებულ მხარეთა ეფექტურობის ამაღლებაში პოტენციურ შესაძლებლობებზე აქცენტის გამახვილების და საერთაშორისო მიგრაციით გამოწვევებზე რეაგირების გზით.

GMC აერთიანებს 13 ორგანიზაციას, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო მიგრაციასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში:

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი.
- გაეროს ვაჭრობის და განვითარების კონფერენცია.
- გაეროს განვითარების პროგრამა.
- ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა გაეროს განყოფილება.
- განათლების, მეცნიერების და კულტურის გაეროს ორგანიზაცია.

- გაეროს მოსახლეობის ფონდი.
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი.
- გაეროს ბავშვთა ფონდი.
- სწავლების და კვლევის გაეროს ინსტიტუტი.
- ნარკოტიკების და დანაშაულის საკითხთა გაეროს ოფისი.
- მსოფლიო ბანკი. (htt1)

მეთოდოლოგია

მონაცემთა ანალიზი არსებობს ორი სახის: თვისობრივი და რაოდენობრივი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ორივე მონაცემები, რომელიც მომზადდა ძირითადად საქართველოს 2017 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილის და 2015-2020 წლის მსოფლიოს მიგრაციის კვლევის საფუძველზე.

შერჩევა:

საინტერესოა იმიგრანტების ბიზნეს საქმიანობა თბილისში ეს შეეხება: ბარებს, რესტორნებს, სალონებს, ტურიტულ საგენტოებს, საწყობებს, მაღაზიებს. კვლევა ძირითადად ყველა სეგმენტს შეეხებოდა ყველა არსებულ ეთნოსს, რომლებიც ბიზნეს საქმიანობას ჩვენ ქვეყანაში აწარმოებენ. ძირითადი უბნები რომლებიც კვლევის ობიექტს შეეხებოდა, ეს უბნები იყო: აღმაშენებლის გამზირი როგორც ძველი აღმაშენებელი ისე ახალი, მარჯანიშვილის ქუჩა, ლესელიძე, პეკინი და კოსტავას გამზირი. ბიზნეს ოპერატორების უმრავლესობა მაინც აღმაშენებლის გამზირზე ფიგურირებდა. გამოკითხული ბიზნეს ოპერატორები, რომლებმაც დააფუძნეს ესა თუ ის ბიზნესი უშუალოდ მეპატრონეები, რომლების უმრავლესობა ბიზნეს თვითონ კურირებდა, მაგრამ იყვნენ ისეთები რომლებიც წასულნი იყვნენ სხვა ქვეყნებში, რადგან მსგავსი ბიზნესი სხვა ქვეყნებშიც ჰქონდათ დაფუძნებული. გამოკითხულთა რაოდენობა 21 ბიზნეს ოპერატორს შეადგენს, რაც შეეხება მათ წარმომავლობას იყვნენ: ლიბანელი, ალბანელი, ჩინელი, კორეელი, ინდოელი, არაბი, ირანელი, ერაყელი, თურქი ა.შ.

თავი I

2.1. ლეგალური ასპექტები

ადამიანები ყოველთვის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების ძიებაში, მაგრამ ეკონომიკური ფაქტორების გარდა, რომლებიც ხალხს საკუთარი ქვეყნიდან სხვა ქვეყნისკენ გადაადგილების საშუალებას აძლევს. ომი, დევნა და პოლიტიკური უფლებების არარსებობა მიგრაციის პოლიტიკური ფაქტორებია. პოლიტიკური თავისუფლების ნაკლებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ

იდევნებიან საკუთრებიდან მაინც შემფოთებას იწვევს ადამიანების თავისუფლების შეზღუდვა. თუ პოლიტიკური გარემო მტრულად არის განწყობილი, მაშინ ეკონომიკური მდგომარეობა სავარაუდოდ ღარიბია. ეს იწვევს პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების მიგრაციას. მიგრანტების უმეტესობა უფრო დემოკრატიულ ქვეყნებში მიემგზავრება, სადაც მათ შეუძლიათ უკეთესი კარიერის, განათლების და თავისუფლების მოპოვება. კულტურული მრავალფეროვნებით გამოწვეული პოლიტიკური არასტაბილურობა იწვევს გარკვეული კუთვნილების მქონე პირების ქვეყნის შიგნით დაშორებას. ომებისა თუ ეთნიკური დაპირისპირების შედეგად, ეთნიკური ჯგუფები იძულებულნი არიან გავიდნენ საზღვრებს გარეთ. ერთი ეთნიკური ჯგუფის შედინება ავტომატურად იწვევს სხვა ჯგუფის ჩანაცვლებას. (hpp1)

ევროსტატის მონაცემების თანახმად, 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებში 71,223, ხოლო 2016 წელს 74,416 საქართველოს მოქალაქე ფლობდა მოქმედ ბინადრობის ნებართვას. საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვების წლიური რაოდენობა, 2010 წლიდან (53,020) მოყოლებული, მზარდია. ბინადრობის ნებართვების ტიპების ანალიზი აჩვენებს, რომ, ძირითადად, იზრდება ოჯახის გაერთიანების და „სხვა“ საფუძვლით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა წლების და საფუძვლების მიხედვით), რაც შეეხება ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოებში საქართველოს მოქალაქეებზე პირველად გაცემულ ბინადრობის ნებართვებს, მათი რიცხვი ბოლო წლების განმავლობაში 7,902-დან 9,850-მდე მერყეობს. (კომისია, 2017)

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2012-2016), სსდ-ს 70,000 -ზე მეტი ცხოვრების ნებართვა მიენიჭა. 2016 წელს გაცემული ნებართვების რაოდენობა შედარებით მცირეა, რაც შეიძლება აიხსნას საკანონმდებლო ცვლილებით 2015 წლის ივნისში და მნიშვნელოვნად შეცვალა პროცედურების გამარტივების კუთხით ცხოვრების ნებართვა და სავიზო პოლიტიკა. კერძოდ, 94 ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ ნებართვა ქვეყანაში შემოსვლისა და ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნაზე. ადრე ამ ქვეყნებს

ჰქონდათ უფლება წლის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღით დარჩეს საქართველოში. ახალმა რეგულაციამ გარკვეულწილად შეამცირა მოთხოვნა ნებართვებისთვის, რადგან უვიზო რეჟიმის პირობები სრულიად საკმარისია ამ კატეგორიის უცხოელებისთვის ქვეყანაში გრძელვადიანი ყოფნისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ 2012-2014 წლებთან შედარებით, 2016 წელს კვლავ ცხოვრების ნებართვების რაოდენობა გაიზარდა.

2015-2016 წლებში სამუშაო ადგილების უმსხვილესი წილი თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის, უკრაინისა და ირანის მოქალაქეებს გადაეცა. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს 5 სახის ნატურალიზაციას:

1. მოქალაქეობის მინიჭება ჩვეულებრივი პროცედურის ფარგლებში.
2. მოქალაქეობის მინიჭება გამარტივებული წესით.
3. გამონაკლისი გზით მოქალაქეობის მინიჭება.
4. მოქალაქეობის მინიჭება მისი აღდგენის გზით:
5. სპეციალური პროცედურის საფუძველზე მოქალაქეობის მინიჭება . გამონაკლისის სახით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გამო.

2012-2016 წლებში სულ 31,590 ადამიანმა შეიძინა საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით, აქედან 30,199 უცხოელი იყო, რომლებმაც მოქალაქეობა მიიღო მოქალაქეობის მინიჭების გამო, გამონაკლისი პროცედურის გზით. მათი დიდი ნაწილი, 30,199 ადამიანი (60%), არის რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ადრე საქართველოს მოქალაქეობას იღებდნენ. 2012-2016 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მიღება ექვს ქვეყანას შორის იყო: თურქეთი, აშშ, საბერძნეთი, ისრაელი, სომხეთი და უკრაინა. (Issues)

ხოლო რაც შეეხება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მათი სტრატეგია აღნიშნულთან დაკავშირებით ასეთია: ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს თავშესაფრის ერთიანი სისტემა (common European Asylum System) და აქვთ თავშესაფრის მოთხოვნის საკითხისადმი საერთო მიდგომა. წევრ ქვეყნების უმრავლესობას აქვს მკაცრი რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ თავშესაფრის მოპოვების პროცედურებს და ეფუძნება „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაერო-ს 1951 წლის კონვენციას. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, „ლტოლვილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც აქვს საფუძვლიანი შიში, რომ

შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია , ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით“. ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადი შესაძლოა უსაფუძვლოდ ჩაითვალოს, თუ პიროვნება ლტოლვილის სტატუსს შემდეგი მიზეზით მოითხოვს:

- მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი;
- აღმსარებლობა ან ეთნიკური წარმომავლობა;
- სექსუალური ორიენტაცია ან რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება.

ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით შეტანილ განაცხადს აფასებს ექსპერტთა ჯგუფი რომელიც აქტიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკურ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მოვლენებს წარმოშობის ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში საქართველო უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სიაში შეიყვანა ევროკავშირის წევრმა რამდენიმე ქვეყანამ (მაგ: ბელგია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, ბულგარეთი). რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო შეფასებულია, როგორც უსაფრთხო ქვეყანა, სადაც ადამიანების მიმართ არ ხდება დევნა, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და არ არსებობს განურჩეველი ძალადობის საფრთხე საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციაში.

თავშესაფრის სისტემით ბოროტად სარგებლობის შემთხვევათა შესამცირებლად, ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ, უფრო შემჭიდროვებულ ვადებში განიხილონ მიღებული განაცხადები, რათა შეამცირონ სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო პროცედურების დრო. იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეებს არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია თავშესაფრის სისტემის მიზანსა და მოთხოვნებზე, მათი განცხადებები სტატუსის მინიჭების თაობაზე ხშირად არ შეესაბამება რეგულაციებით დადგენილ ნორმებს. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე დადებითი გადაწყვეტილების წილი ბოლო წლებში საკმაოდ დაბალია

(მაგალითისთვის 2016 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 8,830 განაცხადი იქნა შეტანილი თავშესაფრის მოთხოვნაზე, საიდანაც მხოლოდ 455 (5%) დაკმაყოფილდა).

საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა მიმოსვლის შეჩერების განახლებული მექანიზმის ძალაში შესვლასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს მიგრაციული ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან დროული და ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობას, ადგენს დამატებით კრიტერიუმებს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერებისათვის, ამცირებს გადაწყვეტილების მიღების ვადებს და ამარტივებს შესაბამის პროცედურებს.


ბინადრობის ნებართვა უნდა აიღოს, თუ ევროკავშირის ქვეყანაში ხანგრძლივი ვადით ჩადიხართ, როგორც შრომითი მიგრანტი, მაღალკვალიფიციური მუშაკი, ანუ ევროკავშირის ე.წ. „ ლურჯი ბარათის“ მფლობელი, ან როგორც სტუდენტი, მკვლევარი, ევროკავშირის მოქალაქის ან ბინადრობის ნებართვის მქონე პირის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის აღება ხდება დანიშნულების ქვეყანაში შესვლის შემდეგ. ევროკავშირის „ ლურჯი ბარათი“ ამერიკის შეერთებული შტატების ე.წ. „მწვანე ბარათის“ ანალოგიურია. მისი მიზანია ევროკავშირში მაღალკვალიფიციური მუშაკების მოზიდვა. (ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი, 2017)

რაც შეეხება უცხოელებისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემას საქართველოში იგი გაცივმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. განაცხადის წარდგენა. “ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, საიმიგრაციო ვიზის კატეგორიის მიხედვით. უცხოელთათვის ცხოვრების ნებართვის რეგულაცია გაუმჯობესდა რაც, თავის მხრივ, გაზრდის მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ხარისხს, რაც მიგრაციის სფეროში ხმის პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელოვანი ნაწილია. საჯარო სამსახურის განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ამ სერვისის ხელმისაწვდომობა ყველასთვის. (Issues)

თავი II


დინამიკა

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით:



(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)

ძირითადი ქვეყნები რომელთა მოქალაქეებსაც მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა 2012-2016 წლებში:




(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)

იმიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობისა და სქესის მიხედვით (2015 და 2016 წლებში)


2015				2016			
მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო	50,924	30,411	20,513	საქართველო	17,086	28,263	18,823
რუსეთი ფედერაცია	10,552	5,972	4,580	რუსეთის ფედერაცია	11,185	6,262	4,923
თურქეთი	5,810	4,687	1,123	თურქეთი	6,294	4,823	1,471
სომხეთი	4,143	2,582	1,561	სომხეთი	6,241	3,550	2,691
უკრაინა	2,839	1,554	1,385	აზერბაიჯანი	3,420	1,935	1,485
აზერბაიჯანი	2,886	1,414	1,472	უკრაინა	2,922	1,445	1,477
ირანი	1,766	1,368	398	ინდოეთი	1,435	1,016	419
ქუვეითი	1,320	850	470	აშშ	1,101	628	473
ერაყი	1,618	1,244	374	ქუვეითი	643	415	228
ჩინეთი	1,267	1,044	223	ისრაელი	832	402	430
აშშ	1,081	639	442	ქუვეითი	643	415	228

სხვა ქვეყნის მოქალაქეები	8,206	4,836	3,370	სხვა ქვეყნის მოქალაქეები	7,979	4,811	3,168
არ არის მითითებული	145	91	54	არ არის მითითებული	217	130	87
სულ	92,557	56,692	35,865	სულ	90,228	54,355	35,873

(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)



(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)



(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)

უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამეწარმეო და არა

სამეწარმეო სუბიექტები

სამეწარმეო სუბიექტები					არასამეწარმეო სუბიექტები		
2012	ინდივიდუალური მეწარმე	შპს	სააქციო საზოგადოება	უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	არასამეწარმეო იურიდიული პირი	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	სულ
2013	355	7,076	0	95	0	6	7,532
2014	429	7,713	0	101	0	9	8,252
2015	626	5,551	6	130	0	13	4,506
2016	749	7,982	3	224	0	6	8,964
სულ	2,722	32,088	9	714	0	42	35,575


(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)

სამეწარმეო სუბიექტები

ყველა ტიპის რეგისტრირებული სამეწარმეო/ არასამეწარმეო სუბიექტების ჯამური რაოდენობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	სულ
ირანი	7110
თურქეთი	5171
ეგვიპტე	3507
ინდოეთი	2817
რუსეთი	2555
უკრაინა	1916
აზერბაიჯანი	1575
ერაყი	1407
სომხეთი	916
ჩინეთი	708
აშშ	673
ისრაელი	567
პაკისტანი	427
სირია	413
გერმანია	386

(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)



(საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი, 2017)

შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა რაოდენობა იმ 5 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებზეც გაიცა ყველაზე მეტი ნებართვა 2012-2016 წლებში

ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016	სულ
წელი						
თურქეთი	806	736	1,336	2,911	1,950	7,739
ჩინეთი	1,803	1,416	954	1,449	1,551	7,173
ინდოეთი	396	328	364	600	2,669	4,367

ირანი	822	312	211	524	1,027	2,896
უკრაინა	63	71	224	1102	483	1,943

თავი III

3.1. საკანონმდებლო თავისებურებები

ბოლო 5 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვის სფეროში მიღებულ იქნა 4 ძირითადი ახალი კანონი:

ა) 2014 წლის ივნისიდან მოქმედებს ორგანული კანონი „ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. ახალმა კანონმა გაამარტივა საქართველოს მოქალაქეობის დადგენა და ახლებურად დაარეგულირა ნატურალიზაციის პროცედურები. ამასთანავე, იგი სრულად შეესაბამება „ მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაერო-ს 1961 წლის კონვენციას;

ბ) 2014 წლის სექტემბერში ძალაში შესულმა საქართველოს ახალმა კანონმა „ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის დააწესა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ახალი რეგულაციები, შემოიღო ვიზისა და ბინადრობის ნებართვის ახალი კატეგორიები და შექმნა საქართველოში არალეგალურად მყოფ პირთა გაძევების ქმედითი მექანიზმები. კანონის განხორციელებაზე დაკვირვების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლის საფუძველზეც 2015 წელს კანონში შევიდა ცვლილება და ახლებურად დაარეგულირდა ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ცალკეული ნორმები;

გ) 2015 წლის ნოემბრიდან მოქმედი საქართველოს კანონი „ შრომითი მიგრაციის შესახებ“, უმეტესწილად, არეგულირებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაციის ნორმებს, კერძოდ, შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით შრომით ემიგრაციას. კანონში ასევე გათვალისწინებულია შრომით ემიგრანტთა უფლებების დაცვის

მექანიზმები. საქართველოს მთავრობის მიერ მოგვიანებით დამტკიცდა შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტიც.

დ) საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2016 წელს მიღებულ იქნა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან. ახალი კანონით განისაზღვრა ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მაქსიმალურად იცავს რეალურად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებებს, უფრო ქმედითს ხდის თავშესაფრის პროცედურებს და გონივრულ ვადებში უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს იმ პირთა მიმართ რეგულაციების გამკაცრებას, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ თავშესაფრის სისტემით საქართველოში. (ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი, 2017)

3.2. საერთაშორისო მიგრაციის მარეგულირებელი სხვა კანონები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (1993წ);

- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ (1996წ)

- საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998წ);

- საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორების ორგანიზაციების შესახებ“ (2011წ);

- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008წ);
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2011წ).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სტრატეგიული დოკუმენტები და შეთანხმებები ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს მიგრაციის მართვა საქართველოში. ეს დოკუმენტია: „ ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA)”, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი“ და „ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ვალდებულებები.

ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც მიგრაციის საკითხთა კომისიის (მსსკ) 2010 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა. კომისიის მიზანია მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, დანერგვა და მიგრაციული პროცესების კოორდინირებული მართვის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზანი კი მიიღწევა კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებით და განხორციელებით, მიგრაციის მართვაში მონაწილე უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობით, ორმხრივი, რეგიონული თუ გლობალური საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატების გამოყენებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. უკანასკნელ წლებში მსსკ-ს საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება დინამიურად.

2012 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა მსსკ-ს სამდივნო. მისი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კომისიის რეგულარულ საქმიანობას და უზრუნველყოს იგი მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საექსპერტო - ანალიტიკური მხარდაჭერით. კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს საექსპერტო-ანალიტიკური მხარდაჭერით. კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს იუსტიციის მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

მსკ აერთიანებს მაღალი რანგის წარმომადგენლებს შემდეგი სახელმწიფო უწყებებიდან:

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო.

კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომისიაში 2013 წლიდან საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობს 7 საერთაშორისო და 5 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მიზანია კომისიის დამატებითი ექსპერტული რესურსით მხარდაჭერა და რეგულარული დარგობრივი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცვლის წახალისება.

მიგრაციასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხების შესასწავლად და კომისიის სხდომაზე განსახილველ გადაწყვეტილებათა პროექტების მოსამზადებლად მსკ-ს ფარგლებში ჩამოყალიბებულია რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფი.

1. მოქალაქეობის არმქონეობის;
2. სარეინტეგრაციო საკითხების კონსოლიდაციის;
3. მიგრაციის სტრატეგიის;
4. მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის;
5. მიგრაციის რისკების ანალიზის;
6. უცხოელთა ინტეგრაციის;
7. მიგრაციისა და განვითარების;

სამუშაო ჯგუფებში სახელმწიფო უწყებებთან ერთად მსსკ-ში საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციებიც არიან წარმოდგენილი. (ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი, 2017)

თავი IV

4.1. ემიგრაციის თავისებურებები

ემიგრაციის გავლენა ქვეყანაზე შეუძლებელია გამოკვლეული იყოს დემოგრაფიული ასპექტების გარეშე. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,713,700 შეადგინა 40.2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის აღწერისთვის 657,731-ით შემცირდა. საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის 1 იანვრისთვის მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,720,400, ხოლო 2017 წლის 1 იანვრისთვის-3,718,200 შეადგინა.

ამასთან, საქართველოს მოსახლეობის კლებასთან ერთად, დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება, რადგან 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 2014 წლის აღწერის შედეგებით 1.6%-ით გაიზარდა და 14.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ემიგრაცია.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ 2002 წლის აღწერის შემდგომი ცვლებები მოხდა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაშიც. კერძოდ, შემცირებულია ძირითადი ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების როგორც რაოდენობა, ასევე ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში. 2002-2014 წლებში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების რაოდენობა 285,00-დან 233,00-მდე შემცირდა, სომხების-249,00-დან 168,00-მდე, რუსების- 68,00-დან 26,00-მდე, ხოლო ოსების- 38,000-დან 14,000-მდე. (Issues)

რაც შეეხება საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობას სხვადასხვა ქვეყნებიდან ყოველწლიურად ერთ მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. 2014 წლამდე საქართველოში ფორმალური არხების მეშვეობით გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა სტაბილურად იზრდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა 2009 წელი, როდესაც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა 2007-2008 წლებში მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში კვლავ შემცირდა თითქმის მეოთხედით, რაც დიდწილად რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლებით იყო გამოწვეული და უკავშირდებოდა იქ შექმნილ ეკონომიკურ კრიზისს და რუბლის გაუფასურებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი გზავნილების საერთო მოცულობა 2016 წელს ისევ გაიზარდა.

2016 წელს ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთიდან, აშშ-დან, საბერძნეთიდან და იტალიიდან შემოვიდა. ფულადი გზავნილების შემოდინების ყველაზე მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება რუსეთიდან და საბერძნეთიდან. ორივე ქვეყნის

შემთხვევაში 2015 წელს ფულადი გზავნილების თითქმის 40%-ით შემცირება 2014 წელთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები კვლავ რუსეთიდან შემოდის, მისი წილი ფულად გზავნილებში თანდათანობით მცირდება და 2016 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს -34%-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების აბსოლუტური მოცულობა შემცირდა, ძირითადად, საბერძნეთიდან გზავნილების შემცირების გამო, 2012-2016 წლებში გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებიან (28 ქვეყანა) შემოსული ფულადი გზავნილების მთლიანი წილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ყოველწლიურად შემოსული ფულადი გზავნილების დიდი მოცულობის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული არ არის. საქსტატის და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2016 წელს მშპ მიმდინარე ფასებში 14 377,9 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ამავდროულად, ფულადი გზავნილების მოცულობამ ამავე წელს 1,151,236,167 აშშ დოლარს მიაღწია, შესაბამისად, ფულადი გზავნილების წილი მშპ-ს 8% იყო. 2009 წლიდან 2014 წლამდე ფულადი გზავნილების ყოველწლიური ოდენობა ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ ოდენობას აჭარბებდა. ეს ტენდენცია 2014 წელს შეიცვალა და მას შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიური მაჩვენებელი დაახლოებით 500 მილიონით აჭარბებდა საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მაჩვენებელს. ეს ცვლილება ადასტურებს მოსაზრებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამოკიდებულია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობასა და სხვა მრავალ ფაქტორზე, ფულადი გზავნილების შემოდინება კი შედარებით სტაბილური პროცესია და ემიგრანტების წარმოშობის ქვეყანასთან არსებული კავშირების სიმყარეზე დამოკიდებული.

ემიგრანტების ფულად გზავნილებს , როგორც დანაზოგის და ინვესტიციების პოტენციურ წყაროს, გააჩნია შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. კერძოდ, ფულად გზავნილებს აქვთ პოტენციალი, მოახდინონ ეკონომიკის ცალკეული სექტორების

სტიმულირება, ხელი შეუწყონ ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, გააუმჯობესონ მრავალი ოჯახის ცხოვრების დონე და შეამცირონ სიღარიბის მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის პირადი გზავნილი, რომელსაც მიმღები საკუთარი საჭიროებისამებრ განკარგავს, სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებით ფულადი გზავნილების რესურსის სოციალურ- ეკონომიკური განვითარებისაკენ მიმართვა.

2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT-ს საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს საქართველოში არსებულ ზოგად სურათს მიმღები ოჯახების მიერ ფულადი გზავნილების გამოყენებასთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა, რომ ყოველი მეორე ემიგრანტის მიერ გამოგზავნილი თანხა კი მათი ოჯახების შემოსავლის ნახევარს შეადგენდა, ემიგრანტების 15%-ის მიერ გამოგზავნილი თანხა კი მათი ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. ამასთან, იმ ოჯახების, რომელთა წევრებიც გამოკითხვის დროს უცხოეთში იმყოფებოდნენ, 55% აღნიშნავდა, რომ ოჯახის წევრის მიგრაციამ გააუმჯობესა ცხოვრების პირობები, 30%- ისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვა, ხოლო 25%-ისთვის- განათლება.

იმავეს ადასტურებს 2017 წელს საია-ს და CIPDD -ის დაკვეთით CRRC- საქართველოს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევაც. კითხვას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფულად გზავნილებს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისთვის, ფულადი გზავნილების მიმღები ოჯახების 36% პასუხობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში მის გარეშე თავს ვერ გაიტანდა; 40% ამბობდა, რომ თავს გაიტანდა, მაგრამ მაინც გაუჭირდებოდა. იმავე კვლევის თანახმად, გადაწყვეტილებას, თუ რაში დახარჯოს ფულადი გზავნილი, ძირითადად, საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები იღებენ (64%), 29% -ის შემთხვევაში კი გადაწყვეტილებას ემიგრანტი და მისი ოჯახის წევრები ერთობლივად იღებენ.

არსებული კვლევები მიუთითებს, რომ საქართველოში ფულადი გზავნილების დიდი წილი, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იხარჯება. თუმცა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანდაცვასა და განათლებასაც ხმარდება, რაც, საერთო ჯამში, ჯანმრთელი და კვალიფიციური მუშახელის არსებობას და მდგრად ეკონომიკურ წინსვლას უწყობს ხელს.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები მიუთითებს, რომ ფულადი გზავნილების გამოყენებისთვის რამდენიმე მიმართულებითაა საჭირო მუშაობა. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ემიგრანტების და მათი ოჯახის წევრების ფინანსური განათლების გაუმჯობესება და სამეწარმეო უნარების განვითარება, რათა მათ უკეთ შეძლონ ბიუჯეტის დაგეგმვა/ მართვა და სრული ინფორმაცია ჰქონდეთ არსებულ საბანკო პროდუქტებზე, ინვესტირების საშუალებებსა და ბიზნესის მართვის ძირითად პრინციპებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ემიგრანტებს მეტი კონტროლი ჰქონდეთ მათ მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებზე და შეძლონ მათი სწორად განკარგვა ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ქვეყანაში დანაზოგების შექმნის სისტემის გაუმჯობესება, რათა წახალისდეს ფულადი გზავნილების პროდუქტიული გამოყენება. ამ მხრივ საჭიროა ადგილობრივი კაპიტალური ბაზრების გაუმჯობესება და დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის, ემიგრანტებისთვის თანადაფინანსების ან ინვესტირების შეღავათიანი პირობების შეთავაზება. (კომისია, 2017)

4.2. შრომითი მიგრანტები

განვითარებული შრომის ბაზარი და საჭირო ადამიანური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის ღია და მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად. (Issues)

შრომის ბაზრის მობილობა საქართველოში რეგულირდება “შრომითი მიგრაციის შესახებ” “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის

შესახებ” კანონით და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით. „ შრომითი მიგრაციის შესახებ” კანონის თანახმად, საქართველოში ლეგალურად მცხოვრები უცხოელები და საქართველოს მოქალაქეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ შრომით ბაზარზე. ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალის დასაქმებისას.

საქსტატის უახლესი მონაცემების მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციამ „ მწვანე კავკასია“ განაახლა ანგარიში „ საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ“. ანგარიშში, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან და სხვა ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაანალიზებულია ბოლო პერიოდის იმიგრაციული ნაკადები.

საქსტატის მონაცემებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობა უცხო ქვეყნის მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობა 2017 წელს იყო 34 896, რაც ქვეყნის მოსახლეობის 0,94%-ს შეადგენს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ყველაზე მეტი იმიგრანტი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა (იმიგრანტთა საერთო რაოდენობის 28%- 9723 ადამიანი). რუსეთიდან იმიგრანტების ტალღა შეინიშნებოდა 2008-2011 წლებში, რაც ქვეყნებს შორის სამომარო კონფლიქტის სიტუაციით იყო გამოვლელი. 2013-2017 წლებში რუსეთის ფედერაციიდან იმიგრანტების რაოდენობას კვლავ ზრდის ტენდენცია აქვს, რაც არ არის დაკავშირებული ქვეყანაში ლტოლვილების ან სასწავლებლად ჩამოსვლასთან.

უცხო ქვეყნის იმიგრანტების რაოდენობა 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 19%-ით (8246 იმიგრანტით) შემცირდა. მკვეთრად (3- პროცენტული პუნქტით და მეტით) იკლო იმიგრანტების რაოდენობამ ქუვეითიდან, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, ერაყიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან და თურქეთიდან, ხოლო მოიმატა იმიგრანტების რაოდენობამ ირანიდან, მოლდოვადან, ეგვიპტიდან და ინდოეთიდან. (htt2)

უცხოელი მეწარმეები

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2012-2016 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან ბინის/ სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის 34,024 შემთხვევა დაფიქსირდა. უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით შეძენაზე მორატორიუმის ამოქმედების შემდეგ, 2014 წელს, უცხოელების მიერ ასეთი მიწების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები მკვეთრად შემცირდა. თუმცა მას შემდეგ, რაც მორატორიუმი მოიხსნა, 2015 წლიდან, ეს რიცხვი კვლავ მზარდია, ისევე როგორც უცხოელთა მიერ ბინის ან სახლის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები ახორციელებენ (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა). შესაძლოა, მათ შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ, უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ს და ისრაელის მოქალაქეთა შესახებ.

2012-2016 წლებში სულ 35,575-მა უცხოელმა დაარეგისტრირა საქართველოში სამეწარმეო ან არასამეწარმეო სუბიექტი. აქედან არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა უმნიშვნელოა. რეგისტრირებულ სუბიექტთა აბსოლუტური უმრავლესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა (მშპ) და ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის. 2014 წელს რეგისტრირებული შპს-ების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის 50%-ით შემცირდა, თუმცა 2015-2016 წლებში კვლავ მნიშვნელოვნად გაიზარდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, საქართველოს რეგიონების მიხედვით უცხოელების უმრავლესობა სამეწარმეო იურიდიულ პირს ან ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს თბილისსა (59 %) და აჭარაში (13%) არეგისტრირებს. 2016 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელების მიერ კახეთის რეგიონში დარეგისტრირებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა (2015 წელს-441, 2016 წელს -1,361).

ინვესტიციების განხორციელებასთან ერთად უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ, აღნიშნული საფუძვლით საქართველოში ბინადრობის ნებართვაც მოიპოვონ. ბოლო ორი წლის (2015-2016 წწ) განმავლობაში გაცემული საინვესტიციო და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რიცხვი სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. თუმცა 2016 წელს მკვეთრად გაიზარდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. მათი უმრავლესობა ირანის და ერაყის მოქალაქეებზეა გაცემული, ხოლო საინვესტიციო ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი ეგვიპტის, ერაყის და ირანის მოქალაქეებზე ნაწილდება.

საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ უცხოელთა მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების თუ დარეგისტრირებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების რიცხვი მზარდია, რაც საქართველოს, როგორც უცხოელებისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის მიმზიდველი ქვეყნის იმიჯზე მიუთითებს, რაც საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. (კომისია, 2017)

4.3. იმიგრაციის გავლენა

უცხო ქვეყნის გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ მოქალაქეთა იმიგრაციას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე და ადგილობრივ შრომით ბაზარზე უნარების ჩამოყალიბებების და ცოდნის გადაცემის პროცესზე.

ორი შედარებით ახალი კვლევა, რომელიც შედარებით ახალი 2015 და 2016 წლებში ჩატარდა და გარკვეულ წარმოდგენას ქმნის იმიგრანტთა ეკონომიკურ აქტივობაზე საქართველოში, ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და უცხოელ სტუდენტებს საქართველოში.

შრომის ბაზრის კვლევა, რომელის თანახმადაც 2015 წელს დასაქმებული იყო 5,578 უცხოელი, რომელთა ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია შემდეგ პოზიციებზე სამოქალაქო მშენებლობის დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი (1,089), ავტომობილის მექანიკოსები და შემკეთებლები (1.088), მმართველი დირექტორები და მთავარი აღმასრულებელი პირები (611), სატვირთო ავტომობილის მძღოლები (366) , სამოქალაქო ინჟინრები (240) და პროფესიული მომსახურების მენეჯერები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას. იმავე კვლევის თანახმად, უცხოელთა დიდი ნაწილი მშენებლობის, ვაჭრობის და ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმის და პირადი მოხმარების რემონტის სფეროშია დასაქმებული. უცხოელების 57% დასაქმებულია თბილისში, 31% კი აჭარაში. კვლევამ აჩვენა, რომ უცხოელების მიერ დაკავებული პოზიციების უმრავლესობაზე მოითხოვება საშუალო და პროფესიული განათლება. დამსაქმებლის მიერ უცხოური სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია დასახელდა. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ მიუთითებს პროფესიული განათლების და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში. უცხოელთა დასაქმების რიგით მეორე მიზეზად დასახელდა სამუშაო ადგილების თავად უცხოელების მიერ შეიქმნა, რაც ხშირად განაპირობებს მათ დასაქმებას მმართველ პოზიციაზე.

უცხოელ სტუდენტთა ეკონომიკური გავლენის შესახებ მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილში (2017წ). წარმოდგენილი კვლევა, რომელიც ISET -ის მიერ 2017 წელს ჩატარდა, აჩვენებს, რომ უცხელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე ქართული უნივერსიტეტების განვითარებაში. კვლევის თანახმად, საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195,000,000 ლარს აღწევს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6 % , ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია. ამასთან, კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი გეგმავს საქართველოში სწავლას და შემდეგ საფეხურზე გაგრძელება ან სამუშაოდ დარჩენას, რაც მათ სამომავლო გავლენას საქართველოს შრომით ბაზარზე დიდწილად უმნიშვნელოს ხდის. ამასთან, კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა სწავლის დაბალი ხარისხით, პრაქტიკული გამოცდილების მიღების

შეუძლებლობით და საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტებისთვის უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური მთლიანი წლიური ხარჯების თითქმის 39%-ია, რაც ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

ბოლო წლებში საქართველოში სწავლის მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვანია გაიზარდა. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხილვადობის ზრდის ხელშეწყობა. როგორც წესი, უცხოელი სტუდენტების სწავლას საქართველოში პოზიტიური ეკონომიკური ეფექტი გააჩნია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა დადებითად უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი ხარისხის ამაღლების მიზნით უცხო ქვეყნის სტუდენტების მოზიდვის მიზნით აუცილებელია სახელმწიფო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები თავიანთ საგანმანათლებლო პროგრამებს საერთაშორისო ბაზრისა და სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. ბოლინის პროცესის ერთ-ერთი მიზანი 2020 წლისთვის უცხო სტუდენტების მობილობის გაზრდა 3%-დან 20%-მდე. განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია, ფაქტობრივად, დამოკიდებულია ადეკვატური მიგრაციის პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში. საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო მიგრაციის ფარგლებში ხორციელდება. მიზანი მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოება და გაუმჯობესებაა.

2006-2016 წლებში აზერბაიჯანის, ინდოეთის, თურქეთის, ნიგერიის, რუსეთისა და ერაყის უცხოელი სტუდენტები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ უცხოელთა ყველაზე დიდი ჯგუფი იყო. საქართველოში უცხოელი სტუდენტების ნახევარი სწავლობს მედიცინაში, ხოლო დაახლოებით მეოთხედმა აირჩია ბიზნესის, ეკონომიკისა და იურიდიულის სწავლა. არსებული კვლევების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა იყენებს უცხოეთში სტუდენტების მოზიდვას საქართველოში და საზღვარგარეთ მდებარე რეკრუტირების სააგენტოებს. უცხოელი მოსწავლეების მოზიდვაში

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველომ, როგორც უსაფრთხო ქვეყანამ და როგორც დაბალი სწავლის საფასურის ქვეყანამ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს პროფესიული განათლების დაწესებულებაში 119 უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა, ხოლო 2016 წელს 106. საშუალო განათლების დაწესებულებებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება. (Issues)

საქართველოში იმიგრანტები არა მხოლოდ სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოებს ასრულებენ, არამედ თავადაც ქმნიან სამუშაო ადგილებს. 2012-2016 წლებში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო უცხოელების მიერ დაფუძნებული 35,533 შპს, უცხოური იურიდიული პირის ფილიალი, სააქციო საზოგადოება და უცხო ქვეყნის მოქალაქე ინდივიდუალური მეწარმე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი დღეის მდგომარეობით მოქმედია და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა შესაძლებელია დადგინდეს საქართველოში გადასახადების გადამხდელ იურიდიულ პირთა მიხედვით, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აღრიცხავს. შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 2015-2016 წლებში რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობა 77, რომელთა ერთ-ერთი დამფუძნებელი მაინც უცხოელი პირია, 3,913-ს შეადგენდა, ხოლო იმავე პერიოდში უცხოური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობა) რაოდენობა 13 იყო. მათგან 2015 წელს 572- ს დაუფიქსირდა გადასახადის გადახდა და ჯამში 15,915 ათას ლარს გადააჭარბა. 2016 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა (1.298), რომელთაც გადახდა დაუფიქსირდათ და მათ მიერ გადახდილმა თანხამ 53,191 ათას ლარს გადააჭარბა.

არსებული მონაცემები შრომის ბაზარზე ამ ინვესტიციების გავლენის შესახებ თამამი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, საქტატისთვის კომპანიების მიერ მიწოდებულ დეკლარაციებზე დაყრდნობით, ეკონომიკის სამრეწველო და სამშენებლო სექტორზე ზოგად დადებით ეფექტზე მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ. ბოლო

7 წლის (2010-2016 წწ). მანძილზე უცხოური კომპანიების ხვედრითი წილი სამშენებლო სექტორის წლიურ ბრუნვაში..

სამშენებლო სექტორში 2011-2012 წლებში საერთო წლიური ბრუნვა თითქმის გაორმაგდა წინა წლებთან შედარებით, რაშიც წვლილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებულმა კომპანიებმაც შეიტანეს. 2013 წელს სამშენებლო სექტორის ბრუნვა 1,2 მილიარდი ლარით შემცირდა და მცირედით გაიზარდა (2015 წელს 1,48 მილიარდი ლარით წინა წელთან შედარებით) და 2016 წელს 5,64 მილიარდ ლარს მიაღწია. ბოლო შვილი წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მფლობელობაში არსებული კომპანიების ხვედრითი წილი საერთო წლიურ ბრუნვაში გაოთხმაგდა და 11%-დან (2010წ) 45,9% -ს (2016წ) მიაღწია. (კომისია, 2017)

4.4. უცხოელთა ინტეგრაცია

საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს ისეთივე სოციალური უფლებები აქვთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ, მათ უფლება აქვთ, მიიღონ სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის პაკეტი. 2015 წელს ასეთი სახელმწიფო სერვისებით ისარგებლა 465-მა უცხოელმა, ხოლო 2016 წელს-552-მა.

საქართველოს შრომის ბაზარი შეიძლება მიჩნეული იქნეს საკმაოდ ლიბერალურად იმიგრანტებისთვის, რადგან არ არის განსზღვრული მინიმალური სახელფასო მოთხოვნები და ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალა დასაქმებისთვის.

იმ პირებისთვის კი, რომლებიც საქართველოში ოჯახის შექმნის მიზნით შემოდიან „ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით უზრუნველყოფილია D4 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა და შესაბამისი ტიპის ბინადრობის ნებართვა. აღსანიშნავია, რომ უცხოელ ოჯახის წევრებთან გაერთიანების

უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს.

საქართველოს კანონმდებლობა ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებას ითვალისწინებს. უცხოელებს, რომლებიც საქართველოში 5 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობენ, ასევე საქართველოს მოქალაქეებზე დაქორწინებულ უცხოელებს, რომლებიც მინიმუმ 2 წლის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში, უფლება აქვთ, საქართველოს მოქალაქეობა სტანდარტული პროცედურების გავლით მიიღონ; ხოლო უცხოელებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საქართველოს წინაშე, ან თუ არსებობს სახელმწიფო ინტერესი, შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეობა გამონაკლისი გზით მიენიჭოთ (ორმაგი მოქალაქეობა)

რაც შეეხება არადისკრიმინაციულ მოპყრობას, “ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” კანონის მეორე თავი კრძალავს “ უცხოელთა დისკრიმინაციულ, დამაკნინებელ და დამამცირებელ მოპყრობას”, ხოლო საქართველოში მოქმედი კანონი „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” უზრუნველყოფს ნებისმიერი პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობას “ რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯამრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“.

ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებენ, რომ საზოგადოება იმიგრანტთა და იმიგრაციის დადებითი მხარეების შესახებ ნაკლებადაა გათვითცნობიერებული. თავის მხრივ, იმიგრანტებიც (მიუხედავად მათთვის მინიჭებული უფლებებისა) არასაკმარისად ინფორმირებულნი არიან ინტეგრაციის შესაძლებლობებზე, ან თავად არ ინტერესდებიან ამგვარი უფლებების შესახებ ინფორმაციით. თუმცა ორივე შემთხვევაში როგორც მიმღები საზოგადოების, ასევე იმიგრანტთა არასაკმარისი ინფორმირებულობა გარკვეულ

სირთულეებს წარმოშობს და არასასურველ ნიადაგს ქმნის ამ უკანასკნელთა წარმატებული ინტეგრაციისთვის.

2017 წელს საია-ს და CIPDD-ის დაკვეთით, CRRC-აქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 79%-ს არასოდეს ჰქონია ურთიერთობა ქვეყანაში ხანგრძლივი ვადით ჩამოსულ უცხოელებთან (უცხოელები, რომლებიც საქართველოში 3 თვეზე მეტი ხნით იმყოფებიან). ეს შეიძლება ნიშნავდეს როგორც იმას, რომ საქართველოში გრძელვადიანი იმიგრანტების რაოდენობა დაბალია, ასევე იმასაც, რომ ისინი ნაკლებად ურთიერთობენ ადგილობრივ მოსახლეობასთან (ძირითადად, ქართული ენის არმცოდნის გამო,) რაც მათი ინტეგრაციის დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

2016 წელს მსსკ-ს დაკვეთით ACT -საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში ხანგრძლივი ვიზიტის დადებითი მხარეები, ძირითადად, ეკონომიკურ და არა კულტურულ მიზეზებს უკავშირდება-გამოკითხულთა 60% მათ მიერ ადგილზე ფულს ხარჯვას, 42% კი ამ ფულის ქვეყანაში დაბანდებას ასახელებს. რაც შეეხება იმიგრაციის უარყოფით მხარეებს, მოსახლეობა საფრთხეს, ძირითადად, უცხოელების მიერ მიწების შეძენასა და შრომის ბაზარზე კონკურენციის ზრდაში ხედავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული მექანიზმები იმიგრანტთა ინტეგრაციისთვის და შეიქმნას ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც იმუშავებდა საქართველოში ჩამოსულ გრძელვადიან იმიგრანტთა ინტეგრაციაზე.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2012-2016), სსდ-ს 70,000-ზე მეტი ცხოვრების ნებართვა მიანიჭა. 2016 წელს გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა შედარებით მცირეა, რაც შეიძლება აიხსნას საკანონმდებლო ცვლილებით. (კომისია, 2017)

ემიგრანტების ინტეგრაცია და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია ბოლო წლებში ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოში უცხოელი მოქალაქეების რაოდენობა გაიზარდა. აქედან

გამომდინარე, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ემიგრანტებმა უნდა იცოდნენ საქართველოში ინტეგრაციის შესაძლებლობები (განათლება, განათლების კვალიფიკაციის აღიარება, დასაქმება, თვითდასაქმება, საცხოვრებელი ადგილი, მოქალაქეობა და ა.შ). ის ფაქტი, რომ ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია, ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოელთა მიმართ უნდა იყოს გაძლიერებული და მულტიკულტურული საზოგადოების პოზიტიური ასპექტები უნდა იყოს ხაზგასმული. (Issues)

თავი V

5.1. კვლევის შედეგები

ემპირიული ნაწილი 1 : რატომ საქართველო?

1. რატომ წყვეტენ მიგრანტები საქართველოში ჩამოსვლას?
2. რა მიზეზები უადვილებთ აქ ჩამოსვლას?
3. რა უშლის ხელს?

იმიგრანტების უმრავლესობა საუბარში აღნიშნავს, რომ საქართველოში ჩამოსვლას ძირითადად იმიტომ წყვეტენ, რომ მოსწონთ გარემო, არაა კორუფცია და კრიმინალი. ასევე ბაზარზე არსებული ფასები მათთვის მისაღებია. გამომდინარე იქიდან, რომ უმეტესობა აზიელია, მათთვის კლიმატურ პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ბიზნეს ოპერატორების უმეტესობა ოჯახით არის ჩამოსული საქართველოში. მათ კარგი ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან და ბევრი ქართველი მეგობარიც ჰყავთ. აქ ჩამოსვლას მათ უადვილებს, ის რომ ვიზის მიღებასთან დაკავშირებით არ არის მკაცრი რეგულაციები საქართველოში, რამდენიმე რესპოდენტი ღიად აღნიშნავს, რომ ბინადრობასთან დაკავშირებით მრავალი პროცედურის გავლაა საჭირო და დღემდე არ აქვს მიღებული ბინადრობის ნებართვა. ხელის შემშლელ ფაქტორს ძირითადად არ ასახელებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ბიზნეს საქმიანობისთვის არსებული რეგულაციები ხშირად იცვლება და ხშირად ინფორმირებულნი არ არიან. კონკრეტული მაგალითით განვავრცობ ემპირიულ

ნაწილს, კერძოდ ახალი საკანონმდებლო კანონი, რომელიც რამდენიმე თვის წინ მიიღო სახელმწიფომ, რაც გულისხმობს სიგარეტის მოწვევასთან დაკავშირებულ რეგულაციას. ამ რეგულაციამ ბიზნეს ოპერატორებს გაურთულა საქმიანობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ მიერ ნაქირავებ ადგილზე მოწვევისთვის სპეციალური ადგილის გამოყოფა ვერ ხერხდება, ამ მიზეზით კი ისინი კარგავენ კლიენტურას. კანონი არ მოსწონთ და აღნიშნავენ, რომ ამ რეგულაციურმა ფაქტორმა მათ ბიზნეს სერიოზული ზიანი მიაყენა. აღნიშნულ პროლემასთან დაკავშირებით შევთავაზე, რომ სხვა უფრო პრივილეგირებული ფართი ექირავებინათ, სადაც ეს პრობლემა აღარ იარსებებდა. რესპოდენტებმა განმარტეს, რომ თბილისის იმ უბნებში სადაც მსგავსი ბიზნესი უნდა აწარმოონ მსგავსი ფართები ძალიან ცოტაა. აგრეთვე დასძინეს, რომ ქვეყანა მსგავსი რეგულაციისთვის მზად არ იყო, რადგან მოწვევისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილები არ არსებობს ან თუ არსებობს ძალიან ძვირია.

ემპირიული ნაწილი 2: საქართველოში მუშაობის თავისებურებები

1. რა უადვილებს იმიგრანტებს საქართველოში მუშაობას?
2. რა სფეროში არიან დასაქმებულნი?
3. საკანონმდებლო გარემო.

პირად საუბრებში იმიგრანტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მუშაობას მათ უადვილებთ ის გარემოება, რომ ჰყავთ ბევრი ნაცნობი, რომლებიც ეხმარებიან. ასევე არ თვლიან თავს მიგრანტებად. მათთვის საკანონმდებლო გარემო მისაღებია. ეს ეხება იმ ბიზნეს ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ ბარები, თუმცა სასტუმროს ბიზნესში ფიგურირებენ და სასტუმროში აქვთ გახსნილი რესტორანი, სასტუმროში გამოყოფილი აქვთ მოწვევისთვის განკუთვნილი ადგილები, სადაც შესაძლებელია მოწვევა, საუბარში გამოიკვეთა, რომ თავის ქვეყნის წარმომადგენლებს ურჩევნ საქართველოში ჩამოსვლას და სთავაზობენ ტრადიციულ კერძებს, რაც გულისხმობს არა ქართულ სამზარეულოს არამედ აზიურ სამზარეულოს, რადგან მათ შეფ-მზარეული ჩამოყვანილი ჰყავთ თავისი წარმოშობის ქვეყნიდან, ხოლო დამხმარე პერსონალად დასაქმებული ჰყავთ საქართველოს მოქალაქეები. გარდა ბიზნეს

ოპერატორებისა რამდენიმე იქ მომუშავე ქართველი პერსონალი გამოვკითხე და ისინი დამსაქმებელს დადებითად ახასიათებენ და დასძენენ, რომ როგორც ერთი დიდი ოჯახი ისე მუშაობენ და ანაზღაურებაც კარგი აქვთ. ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე მისაღებია თუ არა დამატებული ღირებულების გადასახადი ე.წ (დღგ) ბიზნეს ოპერატორებს დადებითად პასუხობენ. რაც შეეხება სფეროს მიგრანტების უმეტესობა დასაქმებულია სხვადასხვა სფეროში კერძოდ, ბარებში, რესტორნებში, მაღაზიებში, საწყობებში, სალონებში, ტურისტულ სააგენტოებში. მათი უმეტესობა კი კვების სფეროშია დასაქმებული.

ემპირიული ნაწილი 3. საქართველოში ცხოვრების სოციალური და პოლიტიკური თავისებურებები.

1. სად ცხოვრობენ?
2. დამოკიდებულება ადგილობრივებთან, აგრესია ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან.
3. სამომავლო პერსპექტივები, გეგმავენ თუ არა დარჩენას.

იმიგრანტები, რომლებიც თბილისში შრომითი იმიგრანტების სახელით არიან ცნობილნი ჩამოსულები არიან: თურქეთიდან, ირანიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან, ლიბიიდან და ერაყიდან. მინდა ავლნიშნო, რომ ბიზნეს ოპერატორები არ ცხოვრობენ იმ ადგილზე, სადაც სამუშაოს ეწევიან, რადგან ქირა ძალიან ძვირია და უწევთ მოშორებით ცხოვრება მაგ: თუ ბიზნეს საქმიანობას ეწევა მარჯანიშვილზე ბინა ნაქირავები აქვს დელისზე. იყო შემთხვევა ბიზნესი ჰქონდა მარჯანიშვილზე და ცხოვრობდა წერეთელზე და ა.შ ადგილობრივებთან დამოკიდებულებას რაც შეეხება ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ყველგანაა კარგი და ცუდი. ზოგს ტაქსის მძღოლის ხმამაღალი აგრესიული საუბარი არ მოსწონს. უმეტესობა კი აგრესიაზე არ საუბრობს, რადგან დამოკიდებულება ადგილობრივებთან ძალიან კარგი აქვს და თავის საქმიანობაში დასაქმებული ჰყავს საქართველოს მოქალაქეები და თანხებსაც ადეკვატურად უხდის ანუ რა თანხებიც ფიგურირებს შრომით ბაზარზე იგივე ხელფას უხდის. პერსპექტივებს რაც შეეხება იმ

შრომით იმიგრანტებს, რომლებსაც ბიზნეს საქმიანობა კარგად მისდით რა თქმა უნდა გეგმავენ დარჩენასა და ქსელის გაფართოვებასა. ეს შეეხება ძირითადად თურქებს, ინდოელებს და ირანელებს. იმ ეთნოსის წარმომადგენლებს, რომლებსაც ბიზნეს საქმიანობა არ მისდით კარგად კონკრეტულად კი ბარებს და რესტორნებს, სადაც მოწევა ხდებოდა დარბაზშივე და არ აქვთ ტერასები შესაბამისად ახალი რეგულაციით მათ უფლება არ აქვთ მოწევა განახორციელონ დახურულ შენობაში, ქვეყნიდან გასვლას გეგმავენ. რამდენიმე აღნიშნავს, რომ კანონები ხშირად იცვლება და მათთვის სირთულეს წარმოადგენს ეს. ამ ყველაფერს ემატება გადასახადები და ჯარიმები, რომელზეც ამბობენ, რომ ხშირად არ იციან ჯარიმას რატომ უწესებენ. ის შრომითი იმიგრანტები, რომლებსაც კლიენტურა ბევრი ჰყავთ სახელმწიფოსგან ხელშეწყობაზე საუბრობენ და სამომავლოდ ქსელის გაფართოვებასაც კი გეგმავენ. ჩემთვის პირადად აღმოჩენა იყო კორეელი რესპოდენტი, რომელიც საქართველოში დაახლოებით 10 წელია, რაც ცხოვრობს თავისუფლად საუბრობს ქართულად, ეწევა ბიზნეს საქმიანობას ტურისტული განხრით, შეყვარებულია საქართველოზე და ქართველებზე, მისი სტუმრების უმეტესობა კორეელია, რომლებსაც ჩვენს კულტურას წეს-ჩვეულებებს, სამზარეულოს, ღირსშესანიშნაობებს აცნობს. ასევე გამოვყოფდი ჩინურ რესტორანს, რომელიც მდებარეობს მ. კოსტავას ქუჩაზე, რომლის დამფუძნებელი ჩინეთის მოქალაქეა, ხოლო რესტორანს მართავს საქართველოს მოქალაქე. მენეჯერმა პირად საუბარში აღნიშნა, რომ მეპატრონეს ძალიან მოსწონს ზოგადად საქართველო და მისი სიტყვების ციტირება მოახდინა: „ქართველებს ასეთი კარგი გარემო-პირობები გაქვთ და როგორ ვერ იყენებთ. ჩინეთისგან განსხვავებით აქ უფრო მარტივია ბიზნესის კეთება“.

კითხვაზე თუ ვინ შეადგენს მათი პერსონალის უმეტესობას მენეჯერმა გვიპასუხა, რომ შეფ-მზარეული ჩინელია დანარჩენი პერსონალი კი ჩვენი მოქალაქეები. მენეჯერს ვთხოვე შედარება გაეკეთებინა ქართველებისა და ჩინელების საქმესთან დამოკიდებლობის შესახებ, მან დაუფარავად აღნიშნა: „ჩვენ ქართველები ზარმაცი ერი ვართ, როდესაც შეკვეთას ჩინეთში ვაკეთებ არა სამუშაო დროსაც კი იღებენ შეკვეთას, აქ კი ტელეფონსაც არ პასუხობენ“.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ თურქი, ირანელი და ინდოელი ბიზნეს ოპერატორები გამოკითხული რესპოდენტებიდან ყველაზე მაღალშემოსავლიან საქმიანობას ეწევიან. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი სამზარეულოს დაგეგმვება ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მაგრამ ძირითად კლიენტურას მაინც ის ეთნოსი შეადგენს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

5.2. დისკუსია: თეორიის და ემპირიული მონაცემების კავშირი

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ახორციელებს ვაჭრობის ლიბერალიზაციას და პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო მიგრაციის შემზღვეველ ღონისძიებას ატარებს. საერთაშორისო მიგრაციის თეორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი იწვევს წარმოების ერთობლივი მოცულობის ზრდას, თუმცა მიგრაციის ეკონომიკური სარგებლის განაწილება ქვეყნებს და სოციალურ ჯგუფებს შორის არათანაბრად ხდება. ამასთან, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური ეფექტი შეიძლება ნეგატიურმა გადაფაროს. სამუშაო ძალის ნაკადების საერთაშორისო მიგრაცია არამარტო ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს წარმოშობს მიმღებ ქვეყანაში, არამედ დამაბულობასაც იწვევს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ეროვნულ, რელიგიურ, იდეოლოგიურ განსხვავებათა გამო.

მრავალი ქვეყანა იმიგრაციის რეგულირების სელექციურ მეთოდს იყენებს: არ აბრკოლებს ქვეყანაში იმ კატეგორიის მუშების შესვლას, რომლებიც წარმოებაში სჭირდება, სხვა დანარჩენებს კი ზღუდავს. მიმღები ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტები დაკავებულნი არიან შრომითი იმიგრაციის პრობლემებით. ისინი მოქმედებენ ეროვნული კანონმდებლობის, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. იმიგრაციის პროცესების პრობლემათა გადაწყვეტაში მინიმუმ სამი სახელმწიფო უწყება მონაწილეობს: საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის საკონსულო განყოფილებაც გასცემს ვიზებს; იუსტიციის სამინისტრო, ან სასაზღვრო კონტროლის სხვა სამსახური, რომელიც შრომითი რესურსების მოძრაობის რეგულირებას კანონის რეჟიმში ახორციელებს და შრომის სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებას.

ბევრ მიმღებ ქვეყანაში იმიგრაციის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა წარმოდგენილია უამრავი კანონით და კანონქვემდებარე აქტით.

წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პირობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარი. იგი არღვევს კარჩაკეტილობას, ჩნდება ტრანსნაციონალური ნაკადები და სამუშაო ძალის გადაადგილება სისტემურ ხასიათს იღებს. შრომის ბაზარი განისაზღვრება როგორც ნაციონალური წარმონაქმნი, სადაც თავს იყრიან უცხოური სამუშაო ძალის გამყიდველები და მყიდველები, რომლებიც მონაწილეობენ სამუშაო ძალის შერჩევის პროცესში სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის საერთაშორისო რეგულირების საზღვრებში. (ა.სახვაძე, თბილისი)

თეორიული და ემპირიული ნაწილის საფუძველზე იკვეთება, რომ თეორიული ნაწილი მოიცავს ანალიზს მსოფლიო განვითარებული ქვეყნების იმიგრაციულ ნაკადების დასკვნას, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩანს როგორც დადებითი ისე ნეგატიური საფუძვლები, რაც გულისხმობს იმიგრაციული ნაკადის სხვადასხვა ასპექტში მონაწილეობას. თეორიული და ემპირიული ნაწილი გულისხმობს ზომიერ მონაწილეობას აღნიშნულ ფაქტორებში, კერძოდ კი მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში. მასში იკვეთება: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოგრაფიული ფაქტორები. ყველაფერს თან სდევს როგორც დადებითი ისე უარყოფითი ფაქტორები: განვითარებული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია, შრომითი მიგრანტები, რადგან გარკვეულ სახის სამუშაოებს ასრულებენ და მიმღებ ქვეყნებში, ზოგისთვის ეს იდეოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური ფაქტორების გამოწვევაა. ჩვენთვის კი, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, შრომითი იმიგრანტების მოზიდვა და მათი ინტეგრაცია ქვეყანაში გარკვეული ზომების დაცვით, რადგან იმიგრანტების ჩართულობა ამცირებს უმუშევრობის დონეს ქვეყანაში, ზრდის ეკონომიკას, ხელს უწყობს ქვეყნის წინსვლას, ინოვაციების, ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელია ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს და გაუმჯობესდეს ქვეყნის მდგომარეობა უკეთესობისკენ.

დასკვნა

შრომითი მიგრანტების პროგრამებს აქვთ პოტენციალი იმისა, რომ გააუმჯობესონ ყველაფერი რასთანაც იქნებიან შემხებლობაში. მსგავსმა პროგრამებმა შეიძლება გაზარდოს პროდუქტიულობა და დაწიოს სამომხმარებლო ფასები. გააუმჯობესონ კულტურული ურთიერთგაცვლა, გაზარდონ საერთო მოგება, თუკი მუშები შენარჩუნდებიან იმავე ადგილზე სადაც მუშაობენ და არ გადავლენ სხვაგან. გარდა ამისა შრომითი მიგრანტების პროგრამები ხელს შეუწყობს მდიდარ და ღარიბ ერთა დაახლოებას, ეხმარებიან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდას, ისინი აუმჯობესებენ ეკონომიკურად უიღბლო გარემოში მომუშავე შრომითი მიგრანტების ცხოვრების პირობებს.

შრომითი მიგრანტების კონვენციაში გატარებულ პრინციპებს ასე თუ ისე გარკვეული გავლენა აქვთ რიგ ქვეყნებსა და რეგიონებზე. ზოგ მიმღებ ქვეყანაში შემცირდა ანტიმიგრაციული დამოკიდებულება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სტანდარტების დადგენასა და მათ განხორციელებას შორის დიდი განსხვავებაა. საერთაშორისო საზოგადოებამ კონკრეტულად დაასახელა ის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის. მათი სახელმწიფოს დონეზე ამუშავება უკვე თვით სახელმწიფოს, ხოლო მათი გამოყენება თითოეული ინდივიდის საქმეა. (კალანაძე, 2010)

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საერთაშორისო შრომითი მიგრანტების შესახებ კვლევას. ნაშრომში განხილულია, საერთაშორისო შრომითი მიგრაციული პროცესები, მიმოხილულია მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურული ელემენტი. ნაშრომი ძირითადად აგებულია მსოფლიოს 2018-2020 წლის მიგრაციულ პროფილზე და აგრეთვე 2017 წლის საქართველოს მიგრაციული სტრატეგიაზე დაყრდნობით. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შრომით მიგრანტებზე, რომლებიც ბიზნეს საქმიანობას თბილისის სხვადასხვა უბნებში ეწევიან. კვლევა ჩატარდა თბილისის ცენტრალურ ნაწილში, სადაც ყველაზე მეტი შრომითი მიგრანტი ეწევა ბიზნეს საქმიანობას. კვლევა ინტერვიუს სახით

ჩატარდა. 21 გამოკითხული რესპოდენტიდან მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმიგრანტების ჩართულობა შრომით ბაზარზე არ ხდება ინტეგრირებულად. მათი საქმიანობის მიმართ სახელმწიფოს აქვს მკაცრი რეგულაციები. ნაშრომში ერთი თავი მთლიანად ეთმობა იმიგრაციული პროცესების აღწერას. სიტუაციური ანალიზი იძლევა საშუალებას, რომ შრომითი იმიგრანტების ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, რასაც რა თქმა უნდა სჭირდება ზომიერი რეგულაციები წინასწარ გაწერილი გეგმის საფუძველზე, რადგან იმიგრანტების როლი დიდია, რის საფუძველზეც ხდება ცოდნის გაზიარება, ინერგება ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროცესები, ყოველივე ამას თან უნდა სდევდეს მიმღები ქვეყნისა და იმიგრანტების ურთიერთგაგება, მისაღები რეგულაციები, ინფორმირებულობა და სამართლებრივი ჩარჩოს აუცილებლობა, სავიზო პოლიტიკის გამარტივება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. ამ დროს ხშირია მიმღები ქვეყნის მოსახლეობის და იმიგრანტებს შორის იდეოლოგიური და რელიგიური ფაქტორების უგულვებელყოფა, რაც დამაბულობის გარკვეულ ფორმებს წარმოშობს. ამ მიზნით საჭიროა შემუშავდეს მიგრაციული სტრატეგიის ყველა საჭირო ფაქტორი. კერძოდ თავშესაფრის ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში არსებობს ევროკავშირის ქვეყნების მიერ შემუშავებული სტრატეგია, რომელიც მსგავსს გამოწვევებს რეგულარული სამართლებრივი ნორმებით პასუხობს. სამაგისტრო ნაშრომში არის ის აუცილებელი ნიუანსები დაცული, რაც იმიგრაციული პროცესების უკეთ მართვას შეუწყობს ხელს. ნაშრომში განხილულია უცხოელი სტუდენტების როლი ქვეყნის ეკონომიკაში. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ჩართულობას ამ კუთხით. პროცესების უკეთესად აღქმის თვალსაზრისით მოცემულია დინამიკები. ბოლოსკენ კი მოცემულია ბიბლიოგრაფია-ინტერნეტ სერვისების გამოყენებით.

ბიბლიოგრაფია

(ბ.დ.). Получено из <http://www.acegeogeography.com/effects-of-migration.html>

(ბ.დ.). Получено из <http://family.jrank.org/pages/1170/Migration-Theories-Migration.html>

(ბ.დ.). Получено из <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2—00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l—10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.18&d=HASH85e93f940c3de8ae9d8a71.2.4>

(ბ.დ.). Получено из <https://sciencing.com/political-factors-migration-8212756.html>

(ბ.დ.). Получено из

<https://metronome.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/>

Issues, S. C. (ბ.დ.). *Migration Strategy of Georgia 2016 - 2020*. თბილისი.

Migration, i. O. (2018). *World Migration Report 2018*. ჟნევა.

ა.სახვაძე, ნ. (თბილისი). *მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში*. 2005.

კალანაძე, ნ. (2010). შრომითი მიგრაცია, შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა. *შრომითი მიგრაცია, შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებები და საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა*. თბილისი.

კომისია, მ. ს. (2017). *საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი*. თბილისი.

(2017). *ლეგალური ემიგრაციის გზამკვლევი*. თბილისი.

მელაძე, გ. (ბ.დ.). *მსოფლიოსა და საქართველოს გეოგრაფია*.

საქართველოში, შ. ე. (2006). *ნათია ჭელიძე*. თბილისი.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Darejan Tedoradze

Labor immigration to Tbilisi it`s Socio-Political and Geographical aspects

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor:davit sichinava

Assistant-professor

Tbilisi 2018

